ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი **№ 16 (72)** 25 აპრილი, შაბათი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღდგომო

მაცხოვარი მკაცრად გვიცქერს,
და ვარიდებთ ყველა თვალებს.
„მოყვრებს“ ვიწვევთ პანაშვიდზე...
— საქართველოს ასაფლავებთ?
ჩვენს მომავალს — ვმარხავთ ბიჭებს,
და ვარიდებთ „ხვალეს“ თვალებს.
— პანაშვიდზე, პანაშვიდზე!
— საქართველოს ვასაფლავებთ?
გულებს ვკარგავთ, ძაძებს ვიძენთ
და მოვუხმობთ გლოვად ქალებს:
— პანაშვიდზე, პანაშვიდზე!
— საქართველოს ვასაფლავებთ?
ვანგრევთ ტაძრებს, სახლებს, ხიდებს,
ვებრძვით წარსულს, აწმყოს, ხვალეს...
— პანაშვიდზე, პანაშვიდზე!
— საქართველოს ვასაფლავებთ?
ვიღაც გვიწვდის ხელს და იმედს
და გვპირდება შველას-მალე,
ჩვენ კი ვიწვევთ პანაშვიდზე...
— საქართველოს ასაფლავებთ?
რატომ ვდგავართ ბეწვის ხიდზე,
რატომ ვითხრით თავად თვალებს,
რატომ ვმართავთ პანაშვიდებს
და იმედებს ვასაფლავებთ?
... ის კი, მძიმედ ნაავდრალი
არ მომკვდარა...
ძალას იკრებს.
ახლოვდება კვირაძალი...
ვნახავთ, კვლავაც აღმობრწყინდეს!!!

მარიკა ბარათაშვილი

მარტი, 1991 წ.

რეპლიკა სახელმწიფო საბჭოს წევრებს

როდესაც სახელმწიფოში „დახურული კარის“ პოლიტიკა მიმდინარეობს, სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო, ხშირად იჩენს თავს გაუგებრობები ამა თუ იმ საკითხზე. ერთ-ერთ ასეთ გაუგებრობას აქვს ადგილი საქართველოში დისლოცირებული ყოფილი სსრკ-ს ჯარების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დღესდღეობით ვითარება ასეთია.

როგორც საზოგადოებამ იცის, ყოფილმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე დაბანაკებულ რუსეთის ჯარს საოკუპაციო სტატუსი მიაკუთვნა.

დროებითი მთავრობის მმართველობის პირველსავე დღეებში კი რუსეთის ტელევიზიამ და პრესამ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყოფილ საბჭოთა ჯარს ეს სტატუსი გაუუქმაო.

ეს ცნობა მოგვიანებით დაადასტურა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. პატრიკეევმა. გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ს კორესპონდენტებს მან განუცხადა: გამსახურდიას ხელისუფლებამ საოკუპაციო ჯარი გვიწოდა, ხოლო „Пришедшее к власти временное правительство ярлык оккупантов с нас снял“-ო (იხ. „М. Н.“, 5 აპრილი, 1992 წელი).

რამდენადაც ვიცი, საქართველოს დროებით მთავრობას სპეციალური დადგენილება არ გამოუქვეყნებია რუსეთის ჯარის მდგომარეობასთან დაკავშირებით. არც მთავარსარდლის ეს განცხადება უარუყვია ვინმეს ხელისუფლების მხრიდან, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო საბჭოსა და სახალხო ფრონტის დარბაზის წევრის ბატონ ლევან მესხის ერთ ფრაზას.

გაზეთ „საქართველო“-ს 17 აპრილის ნომერში დასტამბულ ინტერვიუში „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება „პარტიობანას“ წინააღმდეგი ვიყავი“ ბატონი ლევანი ბრძანებს: „ორი მხარე (საქართველო და რუსეთი) აპირებს ყოველმხრივი მოლაპარაკების დაწყებას რუსეთის ჯარის გაყვანის ვადებისა და პირობების, აგრეთვე მისი სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მაგრამ ამავე დროს, არავის გაუუქმებია ყოფილი უზენაესი საბჭოს მიერ ამ ჯარისთვის მიკუთვნებული ოკუპანტის სტატუსიო“.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: რუსის ჯარი როგორც იდგა საქართველოში, ისევე დგას და რა საშინელ დანაშაულობებსაც სჩადიოდა შიდა ქართლში, იმასვე სჩადის.

გაგვაგებინეთ, ღვთის გულისათვის, ბოლოს და ბოლოს რა სტატუსი აქვს დღესდღეობით რუსის ჯარს საქართველოში?

კობა ლიკლიკაძე

მკითხველთა საყურადღებოდ

რედაქციაში ხშირად გვირეკავენ მკითხველები, რომლებიც გვსაყვედურობენ ხოლმე ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამა თუ იმ პუბლიკაციის გამო. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ ყოველ პუბლიკაციაში გამოთქმული მათთვის მიუღებელი პოზიცია ამ მკითხველებს რატომღაც რედაქციის პოზიციად მიაჩნიათ.

არადა, ყველა წერილს თავისი, კონკრეტული ავტორი ჰყავს, რომელთა პოზიციასაც რედაქცია ყოველთვის როდი იზიარებს, მაგრამ, თავისუფალი პრესის პრინციპებიდან გამომდინარე, საშუალებას ვაძლევთ, ეს პოზიცია საჯაროდ გამოხატონ. ამდენად, უკმაყოფილო მკითხველებს ვთხოვთ პრეტენზიები იქონიონ არა რედაქციის, არამედ ავტორთა მისამართით. რაც შეგვეხება ჩვენ — ყოველ ნომერში ვერ გამოვაქვეყნებთ განაცხადს, ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას-თქო. ეს ისედაც იგულისხმება.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

კორესპონდენცია თერჯოლიდან

ამ მიწის გამო ორი კაცი როცა კამათობს...

საწყენიც კი იქნებოდა, მიწის გამო რომ ქართველ გლეხკაცს გული საკამათოდ არ ეწეოდეს! რაც გვიყვარს, იოლად არ გვეთმობა! გვაზარეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეგვაზარეს!..

თერჯოლაში დასასრულს უახლოვდება მიწის პრივატიზაცია. შუა იმერეთის ამ კოპწია სოფლებში უჩვეულო ტრიამული დგას. დედაბუდიანა გამოფენილან ყველანი, ირჩევენ, იყოფენ გუშინდელი კოლექტივის მიწებს, იბრუნებენ ერთ დროს საღსალამათ, აწ კი სულის მღაფავ, ნატანჯ-ნაცოდვილარ, ნასასუქარ სავარგულებს.

ზოგიერთ სოფელს მეტი ფართობი აქვს და ერთ ჰა მიწის ნაკვეთს აძლევენ ყოფილ კოლწევრებს. ასეთებია, მაგალითად, კვახჭირი, ალისუბანი, ახალი თერჯოლა და სხვა. ზოგს ნაკლები ფართობი გააჩნია და, შესაბამისად, მიწასაც ნაკლებს ანაწილებს. ვთქვათ, ჩხარელი გლეხის მაქსიმალური ნორმა 7500 მ²-ს შეადგენს. რა ქნან, ვისაც რამდენზე გასწვდება საბანი, იმდენს კმარობს.

ამის მიუხედავად, საკამათო და, შიგადაშიგ საჩხუბარიც, მაინც საკმაო აღმოჩნდა.

ჩვენი დაკვირვებით, ხალხი არ გახლდათ სრულყოფილად გათვითცნობიერებული მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებში. ამ მხრივ, თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. განსაკუთრებით მწირ ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას ჩვენი პრესა, ჩვენივე გაზეთის ჩათვლით.

მხოლოდ ერთ ტიპიურ მაგალითს მოვიყვან სანიმუშოდ. დებულების თანახმად, არჩევანის უფლება ეძლევა მეკომურს, რომლის წინაპარიც ფლობდა სადაო ნაკვეთს. ორთავიანი არწივის გერბიანი საბუთი სულაც არაა აუცილებელი (ვისაცა აქვს, ამას რა სჯობს!), სოფელში ისედაც ყველამ კარგად უწყის — რომელი ფართობი ვისისეულია!

და აი, მეკომური მოითხოვს: ესა და ეს ნაკვეთი ბაბუაჩემისეულია, მასზე არავინ სახლობს, არც რაიმე ნაგებობაა ზედ და მე უნდა მოვიზომოო! ამ დროს, მისივე მეზობელი იჩემებს: არ ვიცი მე ბაბუაშენისეული და ბებიაშენისეული, 20 წელიწადია, ეს ნაკვეთი მე მქონდა გაპიროვნებული და მე მეკუთვნისო!

რასაკვირველია, მსგავს შემთხვევებში სადა და გასაგები ენით უნდა იყოს განმარტებული — ვის სასარგებლოდ გადაწყდეს დავა: მემკვიდრის თუ მოდავე-განპიროვნებულის! ყოველად აუცილებლად გვეჩვენება ასეთი საკითხების ტელევიზიის მეშვეობით განმარტება, ვთქვათ პროგრამა „მაცნეში“!..

და კიდევ ერთი დეტალი, თუ ამასაც დეტალი ჰქვია და არა მწვავე პრობლემა — მიწის ნაკვეთების მოზომვა უსაშველოდ ტენდენციურად ხდება: ზოგს რატომღაც ითვალწუნებენ დახელოვნურად აკლებენ, ზოგსაც ნათლიმამურად უმატებენ მიწას. უნდა ყველამ შეიგნოს:მიწა ისეთი შუბია, დღეს თუ არა, ხვალ გამოჩნდება და შეგვარცხვენს! ნიშნის მოგებით წაგვიღიღინებენ ყურისძირში: ეგრე არაა, თაყაო, შენ რო მამული გაყაო!..

ჩვენი სპეციალური
კორესპონდენტი

თერჯოლა, 1992 წ, 22.04.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ჩვენ ისეთ პოლიტიკას გავატარებთ...

ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐ, რომელიც უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, სადაც ჯერჯერობით ვერავინ აგებს პასუხს ადამიანთა უფლებების დაცვასა და სოციალურ გარანტიებზე, სადაც პოლიტიკური სიტუაცია არასტაბილურია, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს სახელმწიფო საზღვრების დადგენასა და დაცვას. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანას ჰყავდეს საკუთარი შეიარაღებული ძალები. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ ჩამოყალიბდა თავდაცვის სამინისტრო, ფაქტიურად ახალი შემადგენლობით.

18 აპრილს თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრებმა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართეს თავისი პირველი პრესკონფერენცია. თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ, გვარდიის პოლკოვნიკმა ავთანდილ ცქიტიშვილმა ისაუბრა შეიარაღებული ძალების მომავალი სტრუქტურების, მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, საბრძოლო მომზადებისა და მრავალ სხვა პრობლემურ საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ ამჟამად უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული პროფესიონალი სამხედრო კადრების მომზადება. ამისათვის, თავდაცვის სამინისტრო მოლაპარაკებაა აწარმოებს ყოფილი სსრკ-ს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოსთან იმ 1260 ოფიცრის „გადმოსაბირებლად" რომელებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ გადიან სამსახურს. გარდა ამისა, მოსაგვარებელია ფონდების საკითხიც. საოკუპაციო ჯარის ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებიან, ჰყიდიან არა მარტო იარაღს და ტექნიკურ სამხედრო აღჭურვილობას, ყაზარმებსაც კი. საომამავლოდ გათვალისწინებულია 20 000-იანი არმიის შექმნა, სადაც 2000 ოფიცერი იქნება. ისინი სასწავლებლად გაიგზავნებიან საზღვარგარეთ, სამხედრო აკადემიებში. თუმცა ეს მოხერხდება მაშინ, როცა რესპუბლიკა ასე თუ ისე ეკონომიურად წელს გაიმაგრებს. ჯერჯერობით კი 5 000-იანი ბრიგადის მარტო შენახვა (კვება, სამოსელი) 600 მილიონი მანეთი ჯდება. თუ ამას დავამატებთ საბრძოლო ტექნიკისათვის საჭირო თანხებს, როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია. მითუმეტეს, რომ ერთი საშუალო ტანკი 6 მილიონ მანეთამდე ღირს. ერთი ბრიგადის სამხედრო აღჭურვილობის ფასი კი მილიარდ-ნახევრამდე აღწევს.

ჟურნალისტების შეკითხვებზე თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრებმა მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხი გასცეს. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

კითხვა: რა პრინციპით მოხდება ეროვნულ ჯარში გაწვევა?

პასუხი: თითქმის სამი წელია საქართველოში გაწვევა არ სწარმოებს. ამიტომ წვევამდელთა დიდი რესურსი დაგროვდა. მათი რიცხვი 70 000-ს აღწევს. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამხედრო კომისარიატები შეიცვალა სამხედრო სამობილიზაციო პუნქტებით. გაწვევა მოხდება ტერიტორიული პრინციპით. ეს ნიშნავს, რომ ჯარში იმსახურებს არა მარტო წვევამდელი, არამედ ის პირიც, ვინც თავისი სურვილით ხელშეკრულებას გააფორმებს გარკვეული ვადით.

კითხვა: დღეს თუ ხვალ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ვთქვათ, ატყდა ომი სირია-ერაყს შორის. რა პოზიციას დიკავებს საქართველო?

პასუხი: (პასუხობს ნოდარ გიორგაძე) მე ჯერ გეტყვით, საქართველო გახდება თუ არა ნატოს წევრი. ომი გაცხადება ახლად არჩეული პარლამენტის კომპეტენცია იქნება. ამჟამად კი შემიძლია გითხრათ, რომ სამომავლოდ პოზიცია საქართველოსი აქტიური ნეიტრალიტეტი იქნება. ჯერჯერობით საქართველო გაწევრიანდა ჩრდილოეთ ატლანტიკის საბჭოს შემადგენლობაში, მასში შედის ყველა სახელმწიფო ატლანტიკიდან ურალამდე.

კითხვა: რა ბედი ეწევა ზუგდიდის ბატალიონს? რა ადგილს დიკავებს ეროვნული გვარდია და მხედრიონი შეიარაღებულ ძალებში?

პასუხი: საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, საბედნიეროდ ამას დიდი მასშტაბები არ მოუცავს. ჩვენი აზრი ასეთია: ჯარი არ უნდა ემსახურებოდეს არც პიროვნებას, არც რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება — ზუგდიდის ბატალიონს შემოვირიგებთ. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, გიპასუხებთ, რომ შეიარაღებული ძალების შესახებ ახლახანს მიღებულ დადგენილებაში წერია — შეიარაღებულ პიროვნებას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად არსებობდეს. მიმდინარეობს მოლაპარაკება მხედრიონისა და გვარდიის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანების შესახებ. ვინც შემოვა, ხომ კარგი, თუ არადა, იარაღს ჩაგვაბარებს. ეს ძალიან რთული საკითხია.

კითხვა: გერმანოს ვიცე-კანცლერის გენშერისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის დროს გამოითქვა აზრი გერმანელების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხზე?

პასუხი: ეს ჭორის დონეზე გავრცელებული ინფორმაციაა. მე პირადად არ დავსწრებივარ ამ შეხვედრას, მაგრამ დაგარწმუნებთ, ეს არასწორი ინფორმაციაა. ის ჯარიც გვეყოფა ჩვენს ტერიტორიაზე ამდენ ხანს რომ ვაჩერებთ და ეკონომიური სიდუხჭირის გამო ვერ ვახერხებთ მათ გაყვანას.

კითხვა: აქვს თუ არა საქართველოს ამჟამად ბირთვული ტაქტიკური იარაღი?

პასუხი: (პასუხობს ნოდარ გიორგაძე) ანალოგიური შეკითხვა დაგვისვეს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში. ეს მცდარი ინფორმაცია ექსპრეზიდენტის უსაფუძვლო განცხადებიდან მოდის. სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიიდან ჯერ კიდევ სამი წლის წინ გაიტანეს სტრატეგიული დანიშნულების იარაღი. ბირთვულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

იყო ერთი შეკითხვაც, რომელმაც რატომღაც „დააბნია" ბატონი ლევან შარაშენიძე. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. როდის-როდის „მიახვედრეს", რას კითხულობდა ჟურნალისტი. პასუხი ძალზე მოკლე აღმოჩნდა;

კითხვა: 1924 წელს მოხდა სახალხო აჯანყება საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ. დავუშვათ იგივე განმეორდეს ახლაც, ვის მხარეზე დადგება ჩვენი შეიარაღებული ძალები?

პასუხი: ჩვენ ისეთ პოლიტიკას გავატარებთ, რომ ეს არ მოხდეს. ეს მე ფანტაზიად მიმაჩნია.

დასასრულს, თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრო მუდამ მზად იქნება გაუღოს კარი პრესას, თუკი ეს უკანასკნელი ობიექტურად, მიუკერძოებლად და არაპროვოკაციულად გააშუქებს საკითხებს.

მარინა ტლაშაძე

სისხლის სამართლით უნდა ისჯებოდეს!

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ჯანმრთელობას დღეს მრავალი საფრთხე ემუქრება. რომ არაფერი ვთქვათ სამედიცინო სამსახურის შესახებ, დაბინძურებულ გარემოს და მის წინააღმდეგ წარმოებულ სამუშაოთა არასრულფასოვნებაზე, ჩვენს ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის რესპუბლიკაში მოწეული თუ შემოზიდული კვების პროდუქტები. შესაბამის სამსახურებში არსებული სრული განუკითხაობის გამო საკვებთან ერთად ჩვენ ვიღებთ ორგანიზმისთვის განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებებს — ლითონებსა და პესტიციდებს, შხამქიმიკატებს, რომლებიც მცენარეებისა და ცხოველების პარაზიტებთან საბრძოლად გამოიყენება, მაგრამ კვების პროდუქტების საშუალებით მათი ადამიანის ორგანიზმში დიდი რაოდენობით მოხვედრა იწვევს შინაგანი ორგანოების მძიმე დაავადებებს, ჰემოგლობინის დაქვეითებას, ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას და სხვა.

საკვებ პროდუქტებში მავნე ნივთიერებების შემცველობაზე ზღვრული, დასაშვები ნორმების მიხედვით კონტროლს ახორციელებდნენ საქმიანრმრეწველო რაიონული ლაბორატორიების ინსტიტუტი, საქსოფქიმიური ექსპერიმენტალური გაერთიანების რაიონული ლაბორატორიები, სანეპიდსადგურები, მაგრამ ეს სამსახურები ფლობენ მხოლოდ დარგობრივ, ვიწრო სპეციალიზაციის ლაბორატორიებს და კიდევ, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ კონტროლი სრულდება ზერელედ ან დაბალხარისხოვნად. შემოწმებამ გამოავლინა მრავალი უხეში დარღვევა. ბუნებრივია, აქაც ყველასათვის ცნობილი განუკითხაობა სუფევდა და სუფევს.

ამ დღეებში თბილისში მოეწყო საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და მრეწველობის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, პროდუქციის ხარისხისა და სანიტარული სამსახურის მთავარი სამმართველოს და მისი ლაბორატორიის პრეზენტაცია, რომლის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სახალხო ფრონტმა, კერძოდ, მისმა ქიმიის კომისიამ. აღნიშნულმა ლაბორატორიამ დარგობრივი ლაბორატორიებისაგან განსხვავებით დაბინძურების ხარისხი უნდა განსაზღვროს ყველა სახის პროდუქტში საერთაშორისო მოთხოვნის დონეზე.

ჩვენში ჯერჯერობით სასურსათო მომხმარებელი ყოველგვარად დაუცველია. მის ინტერესებს არ იცავს არც კვების პროდუქტების მწარმოებელი და არც გამსაღებელი. არცერთ ჩვენს სასურსათო პროდუქტს არა აქვს ეტიკეტი მისი შემადგენლობის ჩვენებით, როგორც ეს სხვა ქვეყნების პრაქტიკაშია მიღებული.

ქართველ მწარმოებლებს ჯერ კიდევ აქვთ თავიანთი კვების პროდუქტების გასაღების იმედი, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დიდია სასურსათო მოთხოვნა; ხარისხის მაჩვენებელიც თითქმის აღარ არსებობს, მაგრამ მომავალში ჩვენ მოგვიწევს ამ პრობლემაზე ფიქრი, მოგვიწევს ზრუნვა სუფთა პროდუქციის შექმნაზე. ამას გვაიძულებს ბაზარი და კონკურენცია. ახლადშექმნილ ლაბორატორიასაც მომავალში დასჭირდება აკრედიტირება უცხოელ სპეციალისტებისაგან რათა ქართულ პროდუქციაზე გაცემულმა მისმა სერთიფიკატმა მოიპოვოს უცხოელ მომხმარებლის ნდობა, მაგრამ ეს ყველაფერი სამომავლოდ.

დღეს კი, როცა საზოგადოებრივშორისი ურთიერთობები განიცდიან რეფორმაციას, ჩამოყალიბების პროცესშია ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობის მართვის და კონტროლის საორგანიზაციო საკითხები, ბუნებრივია, ახალი საქმისადმი თავს იჩენს ახლებური მიდგომის მოთხოვნა. კერძოდ, ზემოხსენებული სამმართველოსა და ლაბორატორიის პრეზენტაციისადმი მიძღვნილ გამოსვლაში საქართველოს სახალხო ფრონტის ქიმიის კომისიის სახელით მისმა წევრმა რუსუდან დუნდუამ დასვა საკითხი ასეთი მნიშვნელობის ლაბორატორიის სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ, რადგან კვების პროდუქტების მწარმოებელი და მაკონტროლებელი დაწესებულებების ერთ ორგანიზაციაში არსებობა გარკვეულწილად ზღუდავს ამ უკანასკნელს გააკეთოს ობიექტური დასკვნები.

დაბოლოს: საქართველოს სახალხო ფრონტმა რესპუბლიკის დროებით მთავრობაში შეიტანა კანონპროექტი კვების პროდუქტების სისუფთავის დაცვის შესახებ, რომელიც ეყრდნობა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის №251 მუხლს, რომლის თანახმად, „სამრეწველო ნარჩენებით წყლის (მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსაცავების და წყაროების) და ჰაერის გაჭუჭყიანება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ან გამოიწვიოს თევზის მასიური სიკვდილიანობა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე" და რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით: „მავნე ნივთიერებით გაჭუჭყიანებული კვების პროდუქტების წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია და არასწორი სერთიფიცირება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 (ან 7) წლამდე."

ჩვენ წარმოდგენილიც არა გვაქვს, რითი ვიკვებებით; არ ვიცით, თუ რითი ვკვებავთ ჩვენს შვილებს, რა საფრთხე ემუქრება მათ ჯანმრთელობას. ფული საკვების ნაცვლად საწამლავში არ უნდა გადავიხადოთ. ეი, ამიტომ ამგვარი დანაშაული სისხლის სამართლით უნდა ისჯებოდეს.

ვახტანგ კომახიძე

ყურადღება

ტელევიზიო შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ინტელექტი" !!!

ᲝᲗᲮᲯᲐᲪᲘᲐᲜᲘ გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქართული და მსოფლიო კულტურის ცოდნაში — მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია!

ნახევარფინალებში და ფინალში გამარჯვებისათვის დაწესებულია დიდი გუნდური და ინდივიდუალური პრიზები!

ეს არის ცოდნა, რომელსაც მოგება მოაქვს!!!

პირველ ციკლში გუნდები ერთმანეთს შეჯიბრებიან „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ეპოქის ცოდნაში.

ყველას, ვისაც საკუთარი თავის გამოცდა სურს და სწამს თავისი შესაძლებლობებისა, გიწვევთ „ინტელექტი"!

მონაწილეებს ელით საინტერესო შეკითხვები, სერიოზული და გონებამახვილური კონკურსები, გასართობი პროგრამა და ძალიან სოლიდური პრიზები!

შემეცნებით-გასართობ პროგრამაში უშუალოდ იქნებიან ჩართულნი მაყურებლებიც!

ვეძებთ სპონსორებს — „ინტელექტის" დაფინანსება სასარგებლოსთან ერთად სასიამოვნო და პრესტიჟული საქმეცაა!!!

გუნდებმა განაცხადები უნდა შემოიტანონ ა წ 15 მაისამდე საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქციაში ან პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ქ.№178 — კანცელარია). საკონტაქტო ტელეფონები: 34-11-34, 36-84-82, 36-15-79.

გუნდების წარმომადგენელთა შეხვედრა წილისყრის ჩასატარებლად და შეჯიბრების პირობების გასაცნობად შედგება ა წ 19 მაისს დღის 12 საათზე საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკურ ინსტიტუტში.

„ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ" ᲒᲔᲚᲘᲗ!

„ᲩᲙᲕᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ"!

* * *

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია მიესალმება ამ საინტერესო წამოწყებას და თავის მხრივ აწესებს ერთ-ერთ პრიზს.

ხმა მესამე ნაპირიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უაზრო გაფლანგული დრო და ეროვნული ენერგია იმაზე მეტყველებს, რომ სრულიად საქართველო დაავადდა „ზვიადიზმის“ და „ანტიზვიადიზმის“ გადამდები სენით.

ნურავინ იწყენს, მაგრამ ნაწვიმარზე (ეგრეთ წოდებული „გარდაქმნის“ სახით) სოკოებივით მომრავლებული პოლიტიკური პარტიებისა და ვაიპოლიტიკოსების დამსახურებაა უკიდურესობამდე მისული ვნებათაღელვა.

თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად პასუხისმგებელია საქართველოს ისტორიისათვის უპრეცედენტო ტრაგედიაში, რომელიც თავისი მასშტაბებით, ვანდალიზმითა და დრამატიზმით, მნიშვნელოვნად აღემატება ავადსახსენებელ ბაზალეთს.

„ანტიზვიადიზმი“ დღეს მოდაშია. ისინიც კი, ვინც გუშინ გუნდრუკს უკმევდნენ, ამჯერად გაქცეული პრეზიდენტის ჩაქოლვით ცდილობენ გამოიჩინონ თავი. მავანნი პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ჩქარობენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ „ანტიზვიადიზმი“ აღვივებს „ზვიადიზმს“.

ზვიად გამსახურდიას ხელოვნურად გაზვიადებულმა ფენომენმა უმძიმესი ტრავმა მიაყენა ეროვნულ ცნობიერებას. მიუხედავად „განკურნების“ მრავალი ცდისა, იარა მოუშუშებელი რჩება. ამაში არაფერია მოულოდნელი, რადგან წლების განმავლობაში ზვიად გამსახურდია საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მთავარსარდლად აღიქმებოდა.

მრავალათასიან მიტინგებზე მის გვერდით მდგომი ეროვნული აქედან იღებდა სათავეს ის საკადრო პოლიტიკა, რომელიც ძვირად დაუჯდა საქართველოს და მის პატივმოყვარე პრეზიდენტს.

პირადი ერთგულების პრინციპით შერჩეულმა სახელმწიფო აპარატმა, რომელიც პროფესიონალიზმითა და ინტელექტით არ გამოირჩეოდა, დამღუპველი სამსახური გაუწია ერს და ერის რჩეულს.

გალაღებული მედროვენი მოძღვართა როლში გვევლინებოდნენ და არაფერს თაკილობდნენ პირადი კეთილდღეობის მისაღწევად. მათ არ აწყობდათ ერის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალის გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდებოდნენ.

„ზვიადიზმი“ უზნეობისა და არაკომპეტენტურობის დამცველ ფარად იქცა. „ზვიადიზმის“ ერთგულება უმაღლეს კრიტერიუმად დამკვიდრდა და ორგულთა უმთავრეს კოზრად გადაიქცა.

ხალხის რჩეული პრეზიდენტი ფაქტიურად იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან, საკუთარი ხალხისაგან. ყოველდღიური, ხალხმრავალი მიტინგები მხოლოდ და მხოლოდ ხალხთან სიახლოვის იმიტაციას ჰქმნიდა. პრეზიდენტი პირადი გარემოცვის ტყვე და საბოლოო ჯამში მსხვერპლი შეიქმნა.

საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ პრეზიდენტის მრავალრიცხოვან მომხრეებს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდათ. ერთადერთი, რაც მას პოპულარობას უნარჩუნებდა, იყო ე.წ. „შეურიგებელი ოპოზიციის“ პოლიუნარი და ძალა კი არ შეგწევს.

სახელგანთქმული კოლეგებისაგან განსხვავებით საქართველოს პრეზიდენტმა ვერ (ან არ) აითვისა ცბიერი ღიმილისა და ზურგში ლახვრის ჩაცემის დიპლომატიური ოსტატობა.

დიდი პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა. ყოფილი დისიდენტი ამ ხელოვნებას ვერ დაეუფლა. იგი კომპრომისზე მიდიოდა მაშინ, როცა უკომპრომისობა იყო საჭირო და უკომპრომისობას ავლენდა მაშინ, როცა კომპრომისი აუცილებელი გახლდათ.

ექსპრეზიდენტის პოლიტიკური ნიჭი მტრების შეძენისა და მათი რიცხვის გეომეტრიული პროგრესიით ზრდაში გამოიხატა.

პრეზიდენტი „დინების წინააღმდეგ წავიდა“ ისე, რომ ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები. იზოლაციაში მოაქცია არა მარტო საკუთარი პერსონა, არამედ სრულიად საქართველო.

ყველაზე თავგამოდებული „ზვიადისტებიც“ აღიარებენ იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომ გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტსა და პოლიტიკოსს, სათანადო ალღო და გამჭრიახობა არ აღმოაჩნდა. მიუხედავად ამისა, არაობიექტურობა იქნება, თუ საქართველოში დატრიალებული საშინელება, ყველა ჩვენი უბედურება, მხოლოდ ექსპრეზიდენტს გადაბრალდება.

საბედისწერო განხეთქილებაში, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით ჯერ კიდევ ვერ გაგვიცნობიერებია, ბრალი ყველას მიგვიძღვის. უპირველეს ყოვლისა კი მათ, ვინც დღეს ტელევიზორის ეკრანიდან და პრეტრიალება.

დავარქვათ ისტორიულ ფაქტებს თავისი სახელი. სამხედრო გადატრიალება საქართველოში დემოკრატიულ გარდაქმნებს ისახავდა მიზნად, მაგრამ ამით ისტორიული მოვლენის კვალიფიკაცია და არსი არ იცვლება.

ხალხს საერთო-სახალხო აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. საზოგადოების ფართო ფენები საქართველოში ამ ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური და საომარი პროცესების მიღმა რჩება.

ხალხის აზრით არავინ დაინტერესებულა არც კანონიერი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების დამხობის, არც სამხედრო საბჭოს მიერ დროებითი მთავრობის დანიშვნისა და არც ამ უკანასკნელის მიერ წამოწყებული რეფორმებს თაობაზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკაზე მკვეთრად გადასვლა, ფასების 10-ჯერ და მეტად ზრდა მაშინ, როცა დაცული არაა მოსახლეობის მინიმალური სოციალური (საარსებო) გარანტიები, საერთო-სახალხო უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამძაფრებს. პოლიტიკურ ქაოსს აუტანელი ეკონომიკური სიდუხჭირე ემატება. სწორედ ამიტომაა, რომ მოსახლეობის ნაწილს კანონიერი პრეზიდენტის დამხობა საკუთარი და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიაჩნია.

ასეთი აზრი ვინმეს შეიძლება მკრეხელობად მოეჩვენოს, მაგრამ იგი არსებობს და მას ანგარიში უნდა გაეწიოს. დროებითი მთავრობის საროელიც სახელმწიფოს ბალანსს უუნარობას წარმოაჩენს.

აკრძალვებით, ძალისმიერი მეთოდებით წესრიგის დამყარების ცდა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. დაშინებით ხალხის პოლიტიკური აქტივობის დროებით შეფერხება შეიძლება, მაგრამ ნებისმიერ დროს მოსალოდნელია აფეთქება და მასობრივი უკმაყოფილების სტიქიური გამოვლენა.

ძალადობა საპასუხო რეაქციას და სამოქალაქო ომის საშიშროებას ბადებს. საგანგებო მდგომარეობა და უმკაცრესი რეჟიმი დიდხანს ვერ გაგრძელდება. თუ ეს პროცესი გაჭიანურდა, ისედაც გაჩანაგებული ქვეყანა სრული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

დემოკრატიული პრინციპის რაც შეიძლება სწრაფად დამკვიდრება ერთადერთი გამოსავალია კრიზისული სიტუაციიდან. სამოქალაქო მშვიდობა და სტაბილიზაცია მხოლოდ კეთილგანწყობის ატმოსფეროს დამკვიდრებით, მოზომილი სიტყვით და საქმით მიიღწევა. ეროვნული განვითარების მაგისტრალური გზა, საპარლამენტო რესპუბლიკა, კონსტიტუციური მონარქია თუ საპრეზიდენტო მმართველობა — კომპრომეტირებულმა პოლიტიკოსებმა კი არა, ხალხმა უნდა აირჩიოს.

ხალხს დღეს გაქცეული პრეზიდენტის ბედ-იღბალზე მეტად საქართველოს აწმყო და მომავალი აღელვებს. თუ ისინი ქვეყნისათვის სასიკეთო მომავალში დარწმუნდებიან, „ზვიადიზმის“ პრობლემა თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან.

ეს პრობლემა, რომელიც კონფლიქტის საბაბად იქცა, ცივილ-

«ზვიადიზმი» და «ანტიზვიადიზმი»

(ზოგიერთი მოსაზრება ავმოუდურავ თემაზე და საღლეისო სატკივარზე)

გივი ჩხიკვიშვილი

მოძრაობის ლიდერები ეპითეტებს არ იშურებდნენ „ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის“ მიმართ.

გამოხდა ხანი და დიდების ზენიტში მყოფ „პატრიარქს“ იგივენი დაუზოგავად აძაგებდნენ. გვიან იყო „თითზე კბენანი“, რადგან ზვიად გამსახურდიას უკვე დაგროვილი ჰქონდა პირველობისთვის აუცილებელი პოლიტიკური კაპიტალი.

არც დისიდენტობის პერიოდში დ არც ეროვნული ხელისუფლების სათავეში მისვლის შემდეგ ზვიად გამსახურდიას არ აღუკვეთია ანგარებიან მლიქნელთა და უანგარო ზღვარს გადაცილებული დითირამბები.

იგი თვითკმაყოფილი ღიმებოდა და მაშინაც კი, როცა მრავალათასიან მიტინგზე ღვთისაგან ორეულს, მესიას, მოსეს და ა.შ. უწოდებდნენ.

„ზვიადი!“ „ზვიადი“...

„საქართველო!“ „საქართველო!“..

თითქოს ეს ორი ცნება იდენტური ყოფილიყოს, ისე სკანდირებდა დამუხტული მასა. საქართველოს პრეზიდენტი ამგვარ შეძახილებს ყოველდღიურად, კრიტიკული რეაგირების გარეშე, გაბადრული სახით უსმენდა!

ხალხს ვერ გაამტყუნებ, რადგან ზვიად გამსახურდია ეროვნული იდეალების სიმბოლოდ იქცა. საქართველოს პირველ პრეზიდენტს კი უთუოდ მართებდა მეტი თავდაჭერა და ზომიერების გრძნობის გამოჩენა.

სამწუხაროდ ხალხის რჩეული თავშეკავების უნარითა და ზომიერების გრძნობით არ გამოირჩეოდა. საკუთარ პოლიტიკურ ოპონენტებს იგი ხალხის მტრებად მიიჩნევდა. მის გარშემო კი ფარისეველთა და მლიქნელთა მანკიერი წრე იკვრებოდა.

ფაშისტად და დიქტატორად შერაცხული პრეზიდენტი გამოქომაგების სურვილს ბადებდა, რადგან იგი არც ერთი იყო და არც მეორე. ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერ იქნებოდა, რადგან კოლონიურ და ოკუპირებულ ქვეყანას „მართავდა“.

საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა უფლებები ილახებოდა და ილახება.

როცა ფაშიზმში სდებ ბრალს იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ლტოლვილად ექცა და რომლის მიწა-წყალი საკუთარი ხალხის სისხლით ირწყვება, ამით მხოლოდ მის პოპულარობას უწყობ ხელს.

დედამიწის ზურგზე ყველაზე უუფლებო პრეზიდენტი განუსაზღვრელი უფლებების მოპოვებისათვის იღწვოდა. გაურკვეველი რჩებოდა, პირადი განდიდებისათვის სჭირდებოდა ხელისუფლების უზურპაცია თუ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პრეზიდენტის ძალაუფლება რეალურად პარლამენტის კედლებს არ სცილდებოდა... დიქტატორს ალბათ, იმიტომ ეძახდნენ, რომ „ცენტრის“ დიქტატს არ ემორჩილებოდა, თორემ დიქტატორისა საქართველოს პრეზიდენტს არაფერი ეცხო.

ზვიად გამსახურდია პრეზიდენტებს შორისაც დისიდენტად დარჩა. არც ესაა მოულოდნელი, რადგან დანაწევრებული და მოდერნიზებული იმპერიის პრეზიდენტებად ყოფილი პარტიული ფუნქციონერები მოგვევლინნენ.

დისიდენტი ჩვეულებას ვერ ღალატობდა და ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწისათვის. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმეს სიტყვა უსწრებს, დანაპირების შესრულების ტიკური კულტურის დაბალი დონე.

ფაშისტად და დიქტატორად

სის ფურცლებიდან ბრალმდებლის როლში გვევლინებიან!

ყველა ცოდვის, ზოგჯერ დაუჯერებელისა და დაუსაბუთებლის, ერთ პიროვნებაზე გადაბრალება, უკურეაქციას იწვევს.

ხალხი ბევრ რამეში შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ იმას, რომ უცოდველი არავინაა, მშვენივრად ხედავს. ამიტომაც გაისმის მიტინგებზე შეძახილი: „მოვითხოვთ სიმართლეს!“

სიმართლე უნდა ითქვას დაუფარავად და სრულად. საამისოდ კი უნდა გაირკვეს უმთავრესი საკითხი: ვინ არის ბრალმდებელი და ვინ ბრალდებული?

ეროვნული იდეალების სიმბოლოდ ქცეულის ასე უცებ, ყველა ხერხით და შეუნიღბავი ტენდენციურობით გაცამტვერება დაუჯერებელი ხდება.

თავითავად, ის უბრალო და პატიოსანი ადამიანები, ვინც დღეს თავგანწირულად ამღლავნებენ უანგარო ერთგულებას გაქცეული პრეზიდენტის მიმართ, პატივისცემას იმსახურებენ.

შეიძლება ამ საკითხზე ზოგიერთებს განსხვავებული აზრიც გააჩნდეთ, მაგრამ ვერავინ დამომტიცებს, რომ ისინი ტყვიების დაშენის ღირსნი არიან.

სიყვარულსა და ერთგულებას ტყვიებით ვერ განგმირავ... საგანგებო მდგომარეობითა და უმკაცრესი რეჟიმით სტაბილიზაცია არ მიიღწევა. უნდა ითქვას ისიც, რომ „საერთო-სახალხო, დემოკრატიული გადატრიალების“ შემდეგ ასეთი რეჟიმის დამყარება საჭირო არ იქნებოდა. თვით გადატრიალების ყველა ატრიბუტი და შემდგომ განვითარებული მოვლენები მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ თბილისში მოხდა კლასიკური პუტჩი ანუ სამხედრო გადაკადრო პოლიტიკა (ყოფილი ნომენკლატურული ფუნქციონერების დაწინაურება საკვანძო პოსტებზე) და განსაკუთრებით საოკუპაციო ჯარის მიმართ პოზიცია, უნდობლობის გარკვეულ საფუძველს უქმნის. სამშობლოს ბედ-იღბლით დაინტერესებულ ადამიანებს გააჩნიათ შეშფოთებისა და უკმაყოფილების არაერთი საბაბი. რიგითი ამომრჩეველი შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს იმითაც კი, რომ მას არავინ შეეკითხა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის გადაყენებას.

იმსახურებდა თუ არა პრეზიდენტი ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტის შენარჩუნებას? ეს სხვა საკითხია, მაგრამ ისევ ამომრჩეველის გადასაწყვეტი.

კარგა ხანია, რაც საინფორმაციო საშუალებათა საქმიანობის ძირითადი მიმართულება ყოფილი პრეზიდენტის მხილებაა. სათქმელი ითქვა. იმაზე მეტიც კი, რაც წესით უნდა თქმულიყო.

თუ საქართველოში „საერთო-სახალხო, დემოკრატიული აჯანყება“ მოხდა, ხალხს იმის საშუალება მაინც უნდა მიეცეს, რომ მომხდარის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს.

სწორედ ხალხმა უნდა გამოუტანოს საბოლოო განაჩენი საკუთარ რჩეულს და არა იმათ, ვისაც ამის არავითარი უფლება არა აქვს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი აჯანყების საერთო-სახალხო, დემოკრატიულ ხასიათზე გვემსჯელა. რადგან ასე არ მოხდა, მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები და მანიფესტაციები სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. მიტინგებთან და მანიფესტაციებთან დაკავშირებული ექსცესები და დროებითი მთავრობის მიერ აღებული კურსის საგანგაშო შედეგებია, ბული ხალხისათვის ნაკლებად გამაღიზიანებელ გადაწყვეტას მოითხოვს. იგი თავისთავად გადაიჭრება იმ შემთხვევაში, თუ დაძლეული იქნა შურისძიებისა და ანგარიშსწორების დაუფარავი ტენდენცია.

„ზვიადიზმიც“ და „ანტიზვიადიზმიც“ ის გავრცელებული სენია, რომელსაც პოლიტიკური სიბეცე და ფანატიზმი უდევს საფუძვლად. ფატალური ფანატიზმიც უკიდურესობით საზრდოობს: ერთის მხრივ — კერპთაყვანისმცემლობამდე მისული ბრმა **სიყვარულით**; მეორე მხრივ — **ყოველივეს** შემმუსვრელი ზოოლოგიური **სიძულვილით**.

თუ „ზვიადიზმი“ უფსკრულისაკენ მიგვაქანებდა, „ანტიზვიადიზმი“ ამ უფსკრულში გადაგვჩეხავს, რადგან ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენება თანდათან იჩენს თავს და იღებს მეტად საშიშ ანტიეროვნულ ხასიათს.

დროა შევჩერდეთ, ვძლიოთ პიროვნულ სიმპათიებს თუ ანტიპათიებს. ავმაღლდეთ ეროვნულამდე და ერთად ვუმკურნალოთ დაავადებულ სამშობლოს.

საქვეყნო საქმის სასიკეთოდ რომ წარმართულიყო ის ეროვნული ენერგია, რომელიც ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა გაიღეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ლუკმა-პური სანატრელი არ გაგვიხდებოდა და არც თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ა.შ. მოიპოვებდნენ ჩვენზე ადრე საერთაშორისო აღიარებას...

ჩვენ მანამდე არაფერი გვეშველება, სანამ არ განვიკურნებით „ზვიადიზმის“ და „ანტიზვიადიზმის“ დამანგრეველი **სენის** აგან. თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს [illegible] ძალისხმევა სჭირდება.

რევაზ მიშველაძე:

განკურნების პროცესი დაიწყო...

— ბატონო რევაზ, დღეს ჩვენში ყველაფერი, ყველა საუბარი პოლიტიკით იწყება. სხვა კატეგორიები ნაკლებად თუ გვაღელვებს. არადა , ურთიერთსიძულვილის, ურთიერთგაუტანლობის, შეუწყნარებლობის ისეთი ატმოსფერო სუფევს გარშემო, სისასტიკის, დაუნდობლობის იმგვარი ფაქტები ხდება ყოველდღიურად,"წესით", ეს უკანასკნელი უფრო უნდა გვაღელვებდეს. მაგრამ იმდენად შევეჩვიეთ ამ ატმოსფეროს, ლამის ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია თვით ყველაზე არა ჩვეულებრივი ფაქტიც კი... ჩვეულებრივ ამბად, ცნობად იქნა მიღებული რამდენიმე ხნის წინ „მადლიერი მკითხველებისაგან" თქვენი მშობლების სახლის გადწვაც...

— წარმოიდგინეთ, აუტანლობისა და სიძულვილის ატმოსფეროც, რაზეც თქვენ ყურადღებას ამახვილებთ, პოლიტიკამ მოიტანა. დამერწმუნეთ, ხალხის გაბოროტება ბოლო წლების ისტორიული კატაკლიზმების შედეგია.ეგრეთწოდებულმა ეროვნულ-ა ხელისფლებამ ქართველი ერის დიდ ნაწილს ეროვნული ფსიქოზის საშიში სენი შეჰყარა. ახლა ამ სენისაგან განკურნების ძნელი და ხანგრძლივი პროცესი დაიწყო. ეს ეროვნული ფსიქოზი ბოლო ოცეული წლის ნაყოფია

სიმართლე ყველას ის ჰგონია, რასაც თვითონ ამბობს...

ანუ

მცირეოდენი შენიშვნა გაზეთ „საქართველოს“ 1992 წლის 10 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „რაკი მწერალი ვარ, სიმართლეც უნდა ვთქვა“

ძალიან ბევრი საინტერესო მოსაზრებებია გადმოცემული მწერალ ბატონ კარლო კობერიძის საუბარში, რომელსაც უძღვებოდა ბატონი ფელიქს კოჟიაშვილი, მაგრამ ჩემი ყურადღება რამოდენიმე ადგილზე არც თუ ისე მთლად გამართლებულმა აზრებმა მიიქცია. მკითხველისათვის ნათელი რომ იყოს რაზე მინდა საუბარი, მოვიყვან წერილიდან ორ ამონაწერს:

1. „ეს რა უბედურებაა, კაცო, ვერ გამიგია — ხალხი შიმშილობს, ჩვენ კიდევ გავყვირით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სიღარიბიდან ამოგვიყვანსო. სიღარიბიდან გაქექილი ხალხი, ოფიციალური ვაჭრები — კომერციული მაღაზიის მეპატრონენი, კოოპერატორები ნამდვილად ამოვიდნენ“...

2. „ემუშაობ ალმანახ „ალაზნის“ რედაქტორად, 210 მანეთი მაქვს ხელფასი... ასე გრძელდება სამი წელიწადია...“

„გაქექილ“ კაცად რომ არ ჩამთვალოს ბატონმა კარლომ, თავშივე უნდა მოვახსენო, ჩვენი კავშირი საწესდებო ორგანიზაციაა, კოოპერატივების სამეურნეო საქმეებში არ ერევა, საწევრო ანარიცხებით ცხოვრობს, ამიტომ ჩემი ხელფასიც არაა დღევანდელი დღისათვის მაღალი, მაგრამ მისგან განსხვავებით, როგორც ეკონომისტს არ შემიძლია განვაქიქო საბაზრო ეკონომიკა, თითქოს ის იყოს ჩვენი სიღარიბის მიზეზი. საქმე იმაში გახლავთ ბატონო კარლო, რომ ჩვენ ჯერჯერობით კლასიკური საბაზრო ეკონომიკისაგან ძალიან შორსა ვართ და ნუ სთხოვთ მას დასაწყისშივე გაგვამდიდროს. მე არ მსურს თქვენ ეკონომიკის საკითხებზე პაექრობა გაგიმართოთ (ეს ალბათ იგივეა, თქვენ მე ლიტერატურაზე, მწერლობაზე მეპაექროთ). უბრალოდ, ყველა მოკლედ ბატონებო? 73 წლის განმავლობაში მარქსის მიერ კაბინეტში შექმნილ იდეოლოგიაზე დაყრდნობილი სოციალისტური ეკონომიკა, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას — მართვის ტოტალიტარულ რეჟიმს ეყრდნობა, რომელმაც დედამიწის 1/6 შიმშილის ზღვარზე მიიყვანა, თუ ობიექტურ ეკონომიკურ კანონებზე დამყარებული საბაზრო, ანუ კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელმაც მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ააყვავა.

თქვენ ჩემის აზრით ქვეშეუცნობლად, როცა მიწების პრივატიზაციას ითხოვთ, მთლიანად საბაზრო ეკონომიკას უჭერთ მხარს, ხოლო როცა კოოპერატივებისა და კომერციული მაღაზიების წინააღმდეგ ილაშქრებთ, საბაზრო ეკონომიკას ეწინააღმდეგებით. ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიები საბაზრო ეკონომიკაა და მათ გარეშე ასეთი ეკონომიკა არ განვითარდება. კოოპერატივები, მცირე საწარმოები, ფირმები, ასოციაციები, კონცერნები, ბირჟები და ა. შ. ქმნიან საბაზრო ეკონომიკას და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რაგინდ ძნელი მოსასმენიც არ უნდა იყოს თქვენთვის, ფაქტიურად საკუთარი კეთილდღეობის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ჯერ საბაზრო ეკონომიკა არა გვაქვს. თუ შეიძლება ასე ითქვას, ვართ რაღაც ეკონომიკურ „ბურუსში“, ისე მოვშალეთ ცენტრალიზებული მართვის სისტემები, რომ არ შექმნილა საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურები. აი, ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ თქვენ ახლა 210 მანეთი გაქვთ ხელფასი. გარდა ამისა პარადოქსია, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის კანონებს თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა მისმა მიმღებმა კომუნისტურმა მთავრობამ, რასაც დაემატა ფართო საზოგადოების სკეპტიკური დამოკიდებულება მის მიმართ. ჩვენ ხომ 73 წელი ვიცხოვრეთ ისე, რომ „ძია სახელმწიფო ზრუნავს ჩვენზე, არა გვაქვს უმუშევრობა, ყველაფერი უფასოდ გვაქვს — ბინა, სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, ყველა ხარჯებს ბიუჯეტი ფარავს და ა. შ.“

ბატონო კარლო! ვიცი, გაგიჭირდებათ, მაგრამ როგორც ეკონომისტს უნდა მენდოთ და დამიჯეროთ, საქართველოს მანამ არ ეშველება, სანამ არ გვეყოლება სარაჯიშვილებისა და ზუბალაშვილების ტიპის „გაქექილი“ კაცები. საქართველო უნდა იხსნას კერძო საკუთრებამ, მეწარმეებმა და ბიზნესმენებმა. იმასაც უნდა შეეჩვიგდეთ, რომ მდიდარი ერთბაშად ყველა ვერ გახდება, მაგრამ ქონება რომ მარტო ამ მდიდრების ხელში არ დარჩება, ამას შეეცდები ერთი მაგალითით დაგიმტკიცოთ.

ამ რამდენიმე წლის უკან ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სტატიამ, საიდანაც გავიგე, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის მე-7 ადგილზე ყოფილა 74 წლის ტაივანელი (სამწუხაროდ, გვარი დამავიწყდა), რომელსაც დაახლოებით უძრავი ქონება ჰქონდა 17 მილიარდამდე (ქარხნები, ფაბრიკები, მამულები და ა. შ.), ხოლო ფულადი კაპიტალი 9 მილიარდი. იგი გლეხის შვილია. თავისი „ბიზნესმენობა“ იმით დაიწყო, რომ ფეხშიშველი ბაზარში ეგზავნებოდა მდიდარ პირებს პროდუქტებზე და ე. წ. „ფეხის ქირას“ იღებდა. ახლა ვიკითხოთ, ეს მილიარდერი თავისი შთამომავლობით ბიოლოგიურად როდის მოიხმარს ამ ქონებას, შეძლებს კი მის მოხმარებას? ვერასოდეს. მის ქარხნებში, ფაბრიკებში, ბანკებში დასაქმებულია მილიონობით ტაივანელი, რომლებიც გაცილებით მრავალჯერ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ერთ ზეგანზე, ერთნაირ ბუნებრივ პირობებში მყოფი კომუნისტური წყობილებით დაბეჩავებული ჩინელები.

თქვენ რომ მწერალთა კავშირს — ფაქტიურად ბიუჯეტს, სთხოვთ ხელფასის მომატებას, მე მგონია ამას ბიუჯეტი ვეღარ შეძლებს. თქვენი ხელფასი უნდა გაზარდოს გამდიდრებულმა კახეთმა, რომელსაც თქვენი ალმანახი დასჭირდება, როგორც საჭმელი და ჩასაცმელი. ღმერთმა ნუ ქნას, ქართველი კაცი ისე დაკნინდეს, რომ მან სულიერი ცხოვრებისაგან (ლიტერატურა, ხელოვნება, სპორტი და ა. შ.) ხელი აიღოს. მინდა თქვენთან ერთად მეც ვირწმუნო, რომ სულიერ სამყაროს ქართველი მეწარმე და ბიზნესმენი არასოდეს უყურადღებოდ არ დატოვებს. მხოლოდ ერთი რამ აუცილებლად მოხდება. ზევიდან ნაცნობ-მეგობრობით, დაშვებული ბრძანებით არავის წევნი არ გამოიცემა, მილიონები და მილიარდები არ დაიხარჯება პოლიტიკურ თუ სხვა უსახურ გამოცემებზე, იქნება სიტუაცია „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“. არ იქნება „მთხრობელი მეტია მთიხნელზე“ და სხვა გაუკულმართებული სიტუაციები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ კომერსანტის შრომა სხვაზე ნაკლებია, იმასაც გეტყვით, რომ ამ დღეებში ერთი ახლად დამწყები კომერსანტი ქ. უფაში სასტუმროში მოკლეს. წასული იყო საქართველოში საქონელი რომ შემოეტანა, რა თქმა უნდა, სარგებელიც უნდოდა საცოდავს. კომერციაც შრომაა, სირცხვილი ბანდიტობა და მექრთამეობაა. ეს უკანასკნელი კი სოციალისტური წარმოების წესის მთავარი ატრიბუტია. სოციალისტური ეკონომიკა მაშინ დამარცხდა, როცა მოგებისა და ფასწარმოქმნის ობიექტური ეკონომიკური კანონები უგულვებელყო, ეს დიდი თემაა, ალარ გავაგრძელებ...

უმორჩილესად გთხოვთ სწორად გამიგოთ. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ დღევანდელი ჩვენი მეწარმეები და კომერსანტები „ანგელოზები“ არიან. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჰუმანიტარული დახმარების საქონლის გამყიდველი კომერსანტი რომ სარაჯიშვილის ტიპისა დიდხანს ვერ გახდება, ამაში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ, მოდით ვიყოთ გულმოწყალენი, 73 წლის უკეთესართ ეკონომიკაში აღზრდილები უცბად ვერ გახდებიან ცივილიზებული მეწარმენი და კომერსანტები, ამის გამო ჩანასახშივე ნუ შევრისხაოთ ამ სტრუქტურებს.

ბატონო კარლო! არ გაგიკვირდეთ თუ მადლობა გითხრათ თქვენი წერილისათვის, ის გულწრფელია. ბევრი ხომ ხმამაღლა არ ამბობს, ისე ებრძვის საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებს. თქვენ საშუალება მომეცით მიგმართო ფართო საზოგადოებას: რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება საზოგადოებაში საწინააღმდეგო განწყობილება საბაზრო ეკონომიკის მიმართ, მით უფრო დიდხანს დაყოვნდება საქართველოში ცივილიზებული ეკონომიკის შემოღება, მით უფრო დიდხანს „ვიშიშმილებთ“. დამერწმუნეთ, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უფრო უკეთესი, ვიდრე საბაზრო ეკონომიკაა, არ შექმნილა. მე თუ არ მენდობით, კაცობრიობის ისტორია მაინც ვიწამოთ ყველამ ერთად.

პატივისცემით

მურთაზ ზანკალიანი

რესპუბლიკის წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარე,

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების „ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგის“ თავმჯდომარის მოადგილე

„რომ გამაჩინე, კიდეც მარჩინე“

სერგი მინაშვილი

მე მომაგონდა ყოფილი სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი სესია, რომელზედაც ცნობილი შავი პოლკოვნიკი ალქსნისი ყვყეჩური რიხით გაჰკიოდა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მისამართით:— როგორ უნდა შეხედო თვალებში ევროპიდან წამოსულ სამხედრო მოსამსახურეებს ცივ ადგილებში. რომ უპირებთ დასახლებასო... თითქოს ის ცივი ადგილები იმათი სამშობლო არ ყოფილიყო. პოლკოვნიკი გააცოფა იმან, რომ შევარდნაძე ევროპიდან საოკუპაციო ჯარების გამოხმობის ერთ- ერთი პოლიტიკური მოთავე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ კარდინალური ცვლილებები მოხდა - დაიშალა სსრკ — დარბაზში მსხდომთა აბსოლუტურ უმრავლესობას ამის დანახვა და გაგება არ სურდა.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ ალქსნისის მეგობრები.

აი, რა თქვა ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა:

— პოლიტიკოსებს რაც ნებავთ, ის აკეთონ, რესპუბლიკებმა უნდათ დამოუკიდებლობა გამოაცხადონ და უნდათ მთვარეზე აფრინდნენ, ჩვენ მაინც ჩვენი საქმე ვაკეთოთ. — გაგონილა? თითქოს არმია სახელმწიფო ზედნაშენი კატეგორია არ იყოს. რაკი საერთო სახელმწიფო არ არსებობს, მაშასადამე, არ არსებობს საერთო მტერი და არც საერთო არმია.

ჩემი ყურადღება მიიპყრო საქართველოდან „წარგზავნილმა“ ერთმა ახოვანმა პოლკოვნიკმა. სამწუხაროა, რომ ქართულ მცხუნვარე მზესაც ვერ გაულხვია მისი გაყინული სული: ჩვენ არსად გასელას არ ვაპირებთ, და თუ ეს მაინც მოხდა, არცერთი ტანკი, არცერთი თვითმფრინავი არ დარჩება კავკასიის უღელტეხილის მიღმაო.

— თითქოს ამ ტანკის, იმ თვითმფრინავის, იმ გემის, თუ СНГ-ს წამყვან სახელმწიფოებში არსებული ატომური იარაღის შექმნაში ქართველ ხალხს თავისი მატერიალური, თუ სულიერი სახსრები არ დაეხარჯოთ.

დარბაზში საოცრად შემაშფოთებელი სიმძაფრე მძვინვარებდა. ოფიცრები გარდა საკუთარი მოთხოვნილებებისა, არავის და არაფერს არ ცნობდნენ. საერთო არსიდან განცალკევებით, ეს მოთხოვნები, იქნებ, ადამიანურიც იყოს და ასეთსავე გადაწყვეტასაც მოითხოვდეს, მაგრამ დღეს განცალკევებით არაფერი არ არსებობს და ცალკე აღებული ნებისმიერი საკითხი, პრობლემა ჰაერში დაეკიდება, თუ მას მატერიალური და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მორალური საყრდენიც, არ გააჩნია.

ამას შემდეგ, რაც მოსკოვში ოფიცერთა წარმომადგენლობითი დარბაზობის მოწმე გავხდი, არცთუ დიდი დრო გავიდა და ოპერატიულობის თვალსაზრისით, აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილი ეს მცირედი წერილი გარკვეულწილად დღესაც აქტუალურია. მკითხველს რომ ვითარება პლასტიკურ პლანში წარმოვუდგინოთ, მოვაგონებ დარდი-მანდი ბიჭების ქეიფს. არ დაგიმალავთ, ასეთი რამ მე და ჩემს მეგობრებსაც დაგვმართნია ხოლმე. სტუდენტობისას სტიპენდიებს რომ ავიღებდით... უფრო ხალისიანად კი, როცა მშობლები ფულს გამოგვიზავნიდნენ, სუფრას მივუსხდებოდით და კარგა შეზარხოშებულები — ეშმაკი ვერ გაიგებდა, ვინ რა ხმით — ვმღეროდით და ვმღეროდით: „რომ გამაჩინე, კიდეც მარჩინე“... აქვე ვითვალისწინებდით იმ გარემოებასაც, რომ — თუ ბაბუსი რაიმე ხიფათს მოგვიგლენდა — ისევ მშობლებს მივაკითხავდით: — „უბედურებას გადამარჩინეო“ — მივუმღერებდით.

ოღონდ, ასეთ და მსგავს სუფრებზე სიხალისემდე ამაღლებული განწყობილება სუფევდა.

აღნიშნულ შეკრებაზე გაავება-გაანჩხლებამდე დაცემული ატმოსფერო შეიქმნა, გავშებული ოფიცრები და გენერლები, რომ იტყვიან, ადგილს ვერ პოულობდნენ. ბორგავდნენ, რომელიღაც უხილავი მტრისკენ იქაჩებოდნენ და მარტო გულში ამოჩემებული „მტრის“ კი არა, მთელი სამყაროს მოსპობის მკრეხელურ განწყობილებას აფრქვევდნენ.

სამხედროები პოლიტიკოსებს უკიჟინებენ, რომ ქვეყანა დაანგრიეთო. როგორც ჩანს, ვერ ვერ მიმხვდარან, რომ ამ საქმეში მათ[illegible] წილი უძევთ. ავადსახსენებელი სსრკ ჩაიხრჩო საკუთარ უგუნურებაში. არა მარტო ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს, არამედ დასავლეთიდან დახმარების, თუ სესხის სახით შემოსულ სახსრებს ხილულად და უხილავადაც, ანუ „ლევად“, უაზრო მილიტარისტულ გეგმებს ახმარდა. იგი ჩააკცია და მიწასთან გაასწორა სამხედრო მანქანის აუტანელმა სიმძიმემაც.

დასანანია, რომ იმ ვეებერთელა დარბაზში მსხდომთა უმეტესობის პატრიოტიზმი სხვისი მიწების ანექსიითა და თავისუფლების ხელყოფით განისაზღვრებოდა. იმპერიულ ბოდვებს ერთვის ვიწრო ეგოისტური სულმოკლეობა - ურჩევნიათ სახელმწიფოს ორგანიზმზე პარაზიტებად დარჩნენ, ვიდრე ახლებურად და ღირსეულად მოაწყონ საკუთარი ცხოვრება, მითუმეტეს, როცა სინამდვილე სწორედ აქეთკენ მოუწოდებთ მათ.

რასაკვირველია, ყველა ნორმალური ხალხის, მათ შორის ქართველთა იდეალი უკონფრონტაციო, უიარაღო და უსამხედრო მსოფლიოა. კაცობრიობა ოდესმე აისრულებს ამ ნატვრას, მაგრამ, რადგან ჯერჯერობით ეს არ ხერხდება, იძულებული ვართ მხარი დავუჭიროთ თავდაცვისათვის აუცილებელ გონივრულ შეიარაღებას და შესაბამის სამხედრო კონტიგენტს. ყოფილ საბჭოთა კავშირში კი, რაკი ერთხელ აამუშავეს რაკეტებისა და ატომური ბომბების საამქროები (არას ვამბობ შეიარაღების სხვა სახეობებზე), ამზადებდნენ და ამზადებდნენ...

ამზადებდნენ ოღვთოდ, უაზროდ და უთვალავუანგარიშოდ. ეხლა იმდენი ბომბია დაგროვილი, რომ რამდენჯერმე მოსპობს სიცოცხლეს დედამიწაზე. თუ არ ვცდები, ამერიკელ გენერალს ეკუთვნის გამოთქმა:— განა რაიმე მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენჯერ განადგურდება დედამიწა მას შემდეგ, რაც ეს უკვე ერთხელ მოხდება? ავი ზრახვებით შეპყრობილი სამხედროები წარსულის დაბრუნების უტოპიურ იმედს ამყარებდნენ ჟირინოვსკის მსგავს პოლიტიკურ ლიდერზე.

ეს უაღრესად ულტრამოდაშისტო ტიპი შავი ლანდივით ასდევნებია მბორგავ რუსეთს. ვინც თვალს ადევნებდა პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანიას, ადვილად შეამჩნევდა რა მიზანმიმართულად, ენერგიულად და რაც მთავარია, სხაპასხუპით ჰპირდებოდა იგი დამშეულ ხალხს — დაპურებას, სამხედროებს და სხვა იმპერიული ბოდვით დასნეულებულებს — „დიდი დერჟავის“ უპირობოდ აღდგენას. ხოლო როცა თავის დემაგოგიურ პროგრამას ჩააბულ-ბულებდა, სამჯერ მიაყოლებდა ხოლმე:— отдайте мне голоса ... отдайте мне голоса ... отдайте мне голоса ...

არაფრით არ შემიძლია მკითხველს დავუმალო, რომ ამ გარემოებამ ბავშვობაში ნანახი მაწანწალა-მათხოვრის განსაკუთრებული სახეობა მომაგონა:- სუფთად ჩაცმული, ინტელიგენტური იერსახის ხეიბარი, როცა თავისი უბედობის მაუწყებელ მონოლოგს სულმოუთქმელად ჩაამთავრებდა, პუბლიკისაკენ ხელს გაიშვერდა და განსაკუთრებული ხმით შესძახებდა:— смилуйтесь, подайте ... смилуйтесь, подайте ... смилуйтесь, подайте ...

ჟირინოვსკი, „სოიუზი“ და „პამიატი“ — აი, ერთარსება სამი, მაგრამ ეკონომიკური და სოციალური ანარქიის პირობებში არცთუ უნუგეშო დასაყრდენი ამ გაცოფებული პოლკოვნიკებისა.

შეკრება დამთავრდა რუსეთის ისტორიაში უპრეცედენტო აქტით. არმიაში არსებული ვითარების „ასაწონ-დასაწონად“ მოსული ოფიცრები აფორმებენ „მებრძოლთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას“, რომელიც ყველაფრიდან ჩახს, ისულდგმულებს სამხედრო გადატრიალების პერსპექტივით.

და მაინც, დარბაზში, აჭა-იქ შეიმჩნეოდა დაფიქრებული, რეალობის გრძნობით აღბეჭდილი სახეები — უმეტესწილად, გენერლებისა, რომლებიც იმედისმომცემი წმინდა სანთლებივით ენთნენ გაავებული სიმძაფრის უკუნით სიბნელეში.

ხელისუფლება და ინტელიგენცია

ვახტანგ ერქომაიშვილი

ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არნახული კამპანია გაჩაღდა ინტელიგენციის წინააღმდეგ. იგი შეამკეს ეპითეტებით: „კრემლის აგენტი“, „კორუმპირებული“, „კრიმინალური“, „განაწყენებული“, „ვაი-ინტელიგენცია“ და ა.შ. მეთოდურად ინერგებოდა აზრი, რომლის თანახმად ინტელიგენცია კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ელიტარული, რადგან ჰქონდა პრივილეგიები; ეროვნული ხელისუფლების დროს თითქოს მან დაკარგა თავისი უპირატესობა, ამიტომ განაწყენდა და დაუპირისპირდა მას. ეს აზრი აიტაცეს ფართო მასებმა. გაჩნდა ბზარი მასებსა და ინტელიგენციას შორის. ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებსა თუ შეკრებებზე გაისმოდა ინტელიგენციის საწინააღმდეგო ლოზუნგები და მოწოდებები. იგი გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრად.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ეროვნული ხელისუფლება დაუპირისპირდა ეროვნულ ინტელიგენციას. ინტელიგენცია, რომელიც ერის გონება და სინდისია, მის თვალში აღმოჩნდა უინტელექტო და უზნეო. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ეთანამშრომლა მასთან, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მას.

პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა აღმოჩნდა ამ სამარცხვინო კამპანიის ორგანიზატორი და ტონის მიმცემი. შემთხვევით მოხდა ეს თუ კანონზომიერად? რაიმე გაუგებრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი? პირადმა ანგარიშსწორებამ და ამბიციებმა ხომ არ ითამაშეს აქ გადამწყვეტი როლი? რა თქმა უნდა, არც უამისობა იყო. მათ ხელი შეუწყვეს ამ კონფლიქტის გამწვავებას და უკიდურესობამდე მიიყვანეს იგი. მაგრამ კონფლიქტის მიზეზი სულ სხვაა. იგი ობიექტურია და არა სუბიექტური. იქმნებოდა ხელისუფლების იმგვარი ტიპი, რომლის დროს კონფლიქტი ინტელიგენციასთან გარდაუვალი იყო. ხელისუფლების სათავეში სხვა ადამიანები რომც მოსულიყვნენ, თუ შეიქმნებოდა ხელისუფლების აღნიშნული სისტემა, კონფლიქტს თავიდან ვერ ავიცილებდით. რასაკვირველია, მისი მოხდენის ვადები და გამოვლენის ფორმები სხვა იქნებოდა, მაგრამ არსი ამით არ შეიცვლებოდა. იმისათვის, რომ ეს საკითხი ნათელვყოთ, გავარკვიოთ ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. უპირველეს ყოვლისა განვმარტოთ ცნებები: „ხელისუფლება“ და „ინტელიგენცია“.

ხელისუფლება

ხელისუფლება იმ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებას ერთმანეთისაგან განსხვავებით სახელმწიფოს მოწყობის და ძალაუფლების განხორციელების ტიპს. პირველი განაპირობებს სახელმწიფოს ორგანიზაციის ფორმას, მაგალითად, მონარქიაა იგი თუ რესპუბლიკა. მეორე განაპირობებს ხელისუფლების ტიპს, მაგალითად, დიქტატურას ან დემოკრატიას. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, რადგან მასზეა დამოკიდებული ის მეთოდები და ხერხები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ძალაუფლება. ეს ორი მხარე ერთმანეთს არ განსაზღვრავს. მონარქია არ ნიშნავს უსათუოდ დიქტატურას და პირიქით. ანალოგიურია დამოკიდებულება რესპუბლიკასა და დემოკრატიას შორის. ამიტომ მონარქია შეიძლება იყოს დემოკრატიული (მაგალითად, ინგლისი), ხოლო რესპუბლიკა დიქტატორული (მაგალითად, ერაყი).

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სამი ამოცანა — გამოსცეს კანონები, აღასრულოს ისინი და დაიცვას მართლწესრიგი. შესაბამისად ხელისუფლებას აქვს სამი ფუნქცია: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. შეიძლება ეს ფუნქციები განაწილებული იყოს სხვადასხვა ორგანოს შორის. მაგალითად, პარლამენტი ასრულებს საკანონმდებლო, მთავრობა — აღმასრულებელ, ხოლო სასამართლო — მართლმსაჯულების ფუნქციას. ამ შემთხვევაში ეს ფუნქციები ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნულია. ყოველ ორგანოს თავისი სფერო აქვს, ვერც ერთი მათგანი სხვის საქმეში ვერ ჩაერევა. მაგალითად, მთავრობა კანონებს ვერ გამოსცემს, ვერც ვერავის გაასამართლებს. პარლამენტი კანონებს კი გამოსცემს, მაგრამ არც მათი აღსრულება ან ვინმეს გასამართლება მისი პრეროგატივა არ არის. ეს ხდება იმ მიზნით, რომ ერთი პირის ხელში არ მოხდეს მთელი სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაცია. ამგვარ სახელმწიფოში პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატიულია. არსებობს ხელისუფლების იმგვარი ტიპი, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება მთლიანად თავმოყრილია ერთი პირის ხელში. აქ ხელისუფლება არ არის განაწილებული. ქვეყნის მეთაური არის კანონმდებელი, აღმასრულებელი და მსაჯული. თუ რა კანონები გამოიცეს, როგორ აღსრულდეს და ვინ არის მოღალატე, აგენტი და დამნაშავე — ამას ერთი პირი განსაზღვრავს. სახელმწიფოს მართავს არა სამართლებრივი წესით მიღებული კანონები, არამედ ქვეყნის ხელმძღვანელის ნება. ხელისუფლების ამგვარ ტიპს უწოდებენ ავტორიტარულს. ამ მხრივ ტიპიურია საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის გამოთქმა „სახელმწიფო — ეს მე ვარ“. ამ შემთხვევაში ხდება სახელმწიფოს გაიგივება მის მმართველთან, რომლის წინააღმდეგ არა თუ ბრძოლა, არამედ კრიტიკაც კი ეროვნული ღალატის ტოლფასია.

რასაკვირველია, ავტორიტარიზმი არადემოკრატიული მმართველობის ფორმაა, მაგრამ ის ჯერ კიდევ დიქტატურას არ ნიშნავს. ეს უკანასკნელი რეპრესიული აპარატის შექმნას და რეპრესიების მეშვეობით ძალაუფლების განხორციელებას გულისხმობს. დიქტატურა ავტორიტარიზმს ემყარება, მაგრამ პირიქით არ არის საგალდებულო. ავტორიტარიზმი მმართველობის შუალედური ფორმაა, რომლის ბაზაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს დემოკრატიაც და დიქტატურაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ტენდენციები გაბატონდება: დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბდება თუ დიქტატორული გადასძლევს მათ.

ეროვნული ხელისუფლება, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოვიდა ქვეყნის მმართველობაში, დაადგა ავტორიტარიზმის გზას. შეიქმნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომლის ხელშიც თავმოყრილი იქნა მთელი ძალაუფლება. პრეზიდენტი განაგებდა კანონების გამოცემას, მათ აღსრულებას და მართლმსაჯულებას. იგი განსაზღვრავდა, თუ ვინ იყო ერის მოღალატე, კრემლის აგენტი, სუკის აგენტი ან უბრალოდ კრიმინალი და მანქანის ქურდი. ეს არ იყო დიქტატურა, რადგან რეპრესიული აპარატი ჯერ არ იყო შექმნილი, მაგრამ ამისკენ სწრაფვა აშკარად შეიმჩნეოდა.

ინტელიგენცია

ჩვეულებრივად ტერმინით „ინტელიგენტი“ აღნიშნავენ ადამიანს, რომელსაც აქვს ქცევის დახვეწილი მანერები. იგი ნაზიარებია კულტურული ქცევის ნორმებს, ცხოვრობს მათ შესაბამისად და მკაცრად იცავს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ შემთხვევაში სიტყვა „ინტელიგენტი“ გამოხატავს არა ადამიანის განათლებულობას ან განსწავლულობას, არამედ მისი ქცევის მანერას. ამ გაგებით ზოგი მწერალი ან მეცნიერი შეიძლება არ დახასიათდეს როგორც ინტელიგენტი თუ კი ისინი თავიანთ ქცევაში უხეშნი, გაუწონასწორებელნი არიან და სხვებთან ურთიერთობაში არ იცავენ ეთიკის ელემენტარულ ნორმებს. მაგრამ ნებისმიერი სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი შეიძლება გამოირჩეოდეს ინტელიგენტური ქცევით ან გამომეტყველებით. გენერალი, მუშა ან გლეხიც კი, რომელთა საქმიანობა ნაკლებად იძლევა დახვეწილი მანერების გამოვლენის საშუალებას, შეიძლება აღმოჩნდეს ინტელიგენტი. ხშირად გავიგონებთ გამოთქმებს: „ეს ჯარისკაცი კი არა, ინტელიგენტია“; „ეს გლეხი კი არა, ინტელიგენტია“ და ა.შ. ამგვარ სიტუაციებში სიტყვა „ინტელიგენტი“ ახასიათებს ადამიანს არა მისი სოციალური კუთვნილების, არამედ პიროვნული თვისებების, კერძოდ, დახვეწილი ქცევების მიხედვით. აქ იგი კულტურული კაცის აღმნიშვნელი სიტყვაა.

მეცნიერულ ლიტერატურაში ტერმინი „ინტელიგენცია“ სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება. იგი აღნიშნავს გარკვეული ტიპის სოციალურ ფენას. ეს არის ადამიანთა ისეთი ჯგუფი, რომლის საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ინტელექტთან, გონებრივ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში ტერმინი „ინტელიგენცია“ აღნიშნავს არა ადამიანის პიროვნულ თვისებას, არამედ მის პროფესიას — გონებრივ შრომას. იგი არის საქმიანობის გარკვეული ტიპი, რომელიც შესაბამისი ცხოვრების წესს განსაზღვრავს. მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, მასწავლებელი და ა.შ. ინტელიგენტია, დამოუკიდებლად იმისაგან თუ ქცევის როგორ მანერებს ავლენენ ისინი.

ინტელიგენტის აღნიშნული განმარტება არსებითად სწორია, მაგრამ დაზუსტებას მოითხოვს. ხშირად ინტელიგენტის საქმიანობა მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვს: მაგალითად, მოქანდაკის ან მხატვრის მიერ სამუშაოს შესრულება. ზოგჯერ ადამიანი გონებრივი შრომითაა დაკავებული, მაგრამ მას ინტელიგენციას ვერ მივაკუთვნებთ. მაგალითად, ბუღალტერი. საქმე ისაა, რომ ყოველი გონებრივი შრომა გარკვეული სახის ფიზიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და პირიქით. აქ გამმიჯნავი ხაზია შემდეგი: არსებობს გონებრივი შრომა, რომლის მიზანია ინტელექტუალური ფასეულობების, მაგალითად, ჭეშმარიტების დადგენა ან მშვენიერების რეალიზაცია. მაგრამ არსებობს გონებრივი შრომა, რომლის მიზანია მატერიალური ან სხვა არასულიერი ფასეულობების რეალიზაცია. მოქანდაკის ან მხატვრის ფიზიკური საქმიანობა იმ გონებრივი შრომის გაგრძელებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვენიერებასთან ზიარებას. ბუღალტრის საქმიანობა იმ გონებრივი შრომის გამოხატულებაა, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსიური საქმის უზრუნველყოფას. ამის გამო პირველი ინტელიგენტის შრომაა, მეორე კი — არა.

პოლიტიკოსებიც ძირითადად გონებრივი შრომით არიან დაკავებულნი, მაგრამ მათ ინტელიგენციას არ მიაკუთვნებენ. ეს ხდება იმის გამო, რომ მათი საქმიანობის მიზანია არა ინტელექტუალური ფასეულობების რეალიზაცია, არამედ ქვეყნის მართვის უზრუნველყოფა.

ამგვარად, ინტელიგენცია ის სოციალური ფენაა, რომლის საქმიანობის მეოხებით იქმნება ინტელექტუალური ფასეულობები.

ინტელიგენციის ცნობიერება

ინტელიგენციას ცხოვრების თავისი წესი აქვს, რომელიც გაპირობებულია მისი საქმიანობის თავისებურებებით. ეს არის გონებრივი, ინტელექტუალური შრომა, რომელიც ინტელიგენციის მრწამსს, აზროვნების სტილს განსაზღვრავს. ზოგადად იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ავტორიტარული ცნობიერების საპირისპირო.

ინტელიგენციის ცნობიერებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. მისი საფუძველია გონება. იგი ყველაფრის შეფასებას ახდენს გონების მეშვეობით. მისი არსია მოვლენათა გონებისეული ანალიზი და დასკვნების თეორიული არგუმენტაცია. ემოციები და გრძნობები მეორე პლანზეა გადატანილი და დაქვემდებარებულია გონების მკაცრ კონტროლს. ავტორიტარული ცნობიერების საყრდენი კი სწორედ გრძნობებია. აქ გონება მეორეხარისხოვან როლს ასრულებს; 2. დაეჭვება და კრიტიკული ანალიზი. გონებისათვის არ არსებობს არავითარი ავტორიტეტი, გარდა თვით გონებისა. მისი თავისებურება კი ისაა, რომ მისთვის არცერთი დებულება არ არის აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი. მას ყველაფერში შეაქვს ეჭვი, ატარებს კრიტიკის ქარცეცხლში და მიიღებს მხოლოდ იმას, რაც გონების მკაცრ მსჯავრს გაუძლებს. ამის გამო ინტელიგენცია არ ცნობს ავტორიტეტებს და კერპებს, რომელთაც იგი ბრმად მიიღებდა. მისთვის უცხოა კერპთაყვანისმცემლობა. მას არ ჰყავს და არც სჭირდება ბელადი. ეს უკანასკნელი სჭირდება მასას, რომელიც კერპთაყვანისმცემელია. თუ მასას ბელადი ჰყავს, მაშინ იგი მას მთლიანად ენდობა, მის ყოველ სიტყვას უკრიტიკოდ იღებს და თვლის უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად. ამიტომ მასობრივი ცნობიერება ავტორიტარულია. თუ მასას აღიარებული ლიდერი არ ჰყავს, მაშინ იგი ინდიფერენტულია და გულგრილია ყველაფრის მიმართ; 3. ინტელიგენცია პიროვნებებისაგან შედგება. პიროვნება ინდივიდია, რომელიც სხვებისაგან გამორჩევა თავისი ცნობიერებით და თვითცნობიერებით. მას თავისი მრწამსი, თავისი „მე“ აქვს. ინტელიგენცია თვითონ განსაზღვრავს თავის არჩევანს და ქმედებას; მასა თვითონ არ აკეთებს არჩევანს. იგი ირჩევს იმას, რასაც მისი ბელადი. 4. ინტელიგენტის ცხოვრების წესი ემყარება პირად თავისუფლებას, მასას კი იგი არ სჭირდება. აქ ბელადია თავისუფალი. მასა მხოლოდ მიმდევარი და შემსრულებელია. ინტელიგენციის ძალა თავისუფლებაა, მასის კი — სიმრავლე და მორჩილება. 5. ინტელიგენციის ცნობიერება ღიაა, მასის — ჩაკეტილი. თავისუფლად მოაზროვნეობა და კრიტიკის თავისუფლება არის ის საფუძველი, რომელიც ქმნის შეხედულებათა პლურალიზმს და უშვებს სხვაგვარად. აზროვნების შესაძლებლობას. ინტელიგენცია თავისი ბუნებით დისიდენტურია. ამავე დროს იგი შემწყნარებელია სხვაგვარ შეხედულებათა მიმართ. [illegible] ნიშნავს, რომ [illegible] აზრს ეგუება და იღებს, არამედ მათ მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი, თუმცა არ არის აგრესიული. კრიტიკული და არა აგრესიული დამოკიდებულება სხვაგვარ შეხედულებათა მიმართ — აი ინტელიგენციის თავისებურება. მასა გამორიცხავს სხვაგვარად აზროვნების შესაძლებლობას, იგი არ არის დისიდენტური. მასობრივი ცნობიერება ღებულობს მხოლოდ იმას, რასაც მისი კუმირი კარნახობს. ბელადის მიმართ იგი უკრიტიკოა, არ ეჭვობს მის შეხედულებათა ჭეშმარიტებაში და უყოყმანოდ იზიარებს მათ. სხვაგვარ შეხედულებებს იგი არ იღებს, მათ მიმართ არა თუ შემწყნარებელია, არამედ აგრესიული. მასთან პაექრობა შეუძლებელია, რადგან იგი არავითარ არგუმენტს ანგარიშს არ უწევს, იგი უსმენს მხოლოდ თავის კერპს, სხვათა მოსმენა მას არ შეუძლია. მისი გული ერთს ეკუთვნის. მასას უყვარს თავისი კერპი, ხოლო ყველას, ვინც მას უპირისპირდება, სიძულვილით და მტრობით პასუხობს.

ამგვარად, ინტელიგენციის ცნობიერება თავისი არსით დემოკრატიულია, ხოლო მასობრივი ცნობიერება — ავტორიტარული.

ინტელიგენციის და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება

ინტელიგენციის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ცალსახაა. იგი კრიტიკულია ყველა ხელისუფლების მიმართ. აპოლოგეტიკა მისთვის უცხოა. ხელისუფლების გაღმერთება, მისი ყოველი ქმედების გამართლება და დაცვა ინტელიგენციის მრწამსს ეწინააღმდეგება. ინტელიგენცია, რომელიც ხელისუფლების მონა-მორჩილია, უკვე აღარ არის ინტელიგენცია. ხელისუფლება, რომელიც მისგან ამგვარ დამოკიდებულებას მოითხოვს, ფაქტობრივად სპობს მას. ინტელიგენცია თავისი არსით დისიდენტურია, ამიტომ იგი ოპოზიციაშია ყოველ ხელისუფლებასთან. იგი გონების თვალით უყურებს და აფასებს ხელისუფლების საქმიანობას — ეჭვობს, შენიშვნებს გამოთქვამს და აკრიტიკებს მას.

რასაკვირველია, ეს გარემოება არ გამორიცხავს ინტელიგენციის თანამშრომლობას ხელისუფლებასთან. მაგრამ ამ თანამშრომლობის სპეციფიკური ფორმა კრიტიკაა, სხვაგვარი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან მისთვის მიუღებელია. ხელისუფლების არა აპოლოგეტიკა, არამედ კრიტიკა — აი ეს არის ინტელიგენციის ფუნქცია და დანიშნულება.

ინტელიგენცია არ არის ხელისუფლების მსახური. ამგვარი როლის დაკისრება მისთვის განადგურების ტოლფასია. ინტელიგენციის ის წარმომადგენელი, რომელიც ხელისუფლებას ემსახურება, ღალატობს იმ პრინციპებს და იდეალებს, რომელთაც იგი უნდა ამკვიდრებდეს. სამარცხვინოა მისი ამ როლში გამოჩენა. ერთადერთი, ვისი მსახურიც ინტელიგენცია უნდა იყოს, ეს მისი სამშობლოა. ეროვნული ინტერესების დაცვა და მის სადარაჯოზე დგომა — აი, რისი მსახურიც შეიძლება იგი იყოს. მაშასადამე, ერის და არა ხელისუფლების სამსახური არის ინტელიგენციის მიზანი.

როგორი უნდა იყოს ხელისუფლების დამოკიდებულება ინტელიგენტისადმი: მხოლოდ ერთი — დიალოგი. არა დიქტატი, არა კარნახი, არა თავისი ნების თავს მოხვევა, არამედ მისი აზრის მშვიდად, ემოციების გარეშე მოსმენა და გათვალისწინება. ხელისუფლება ინტელიგენციას ამოცანებს არ უნდა უსახავდეს — თუ რა და როგორ აკეთოს. ამას ინტელიგენცია თვითონ გაარკვევს. ეს ხელისუფლების საქმე არაა. მისი ამოცანაა ქვეყნის მართვა და კანონიერი წესრიგის დამყარება. როდესაც ხელისუფლება კარნახობს: თუ რა თემაზე როგორ წეროს მწერალმა; რა სპექტაკლი როგორ დადგას რეჟისორმა; რა ფილმი როგორ გადაიღოს კინორეჟისორმა; რა მუსიკა როგორ შეასრულოს

მუსიკოსმა და ა.შ. ეს არათუ დაუშვებელია, არამედ ამაზრზენი და სამარცხვინო ფაქტია. ამგვარი ხელისუფლება არა მხოლოდ უკანონობას ჩადის, არამედ არაკომპეტენტური და არაპროფესიონალია. მან უპირველესად თავისი საქმე არ იცის. იგი ცდილობს იმის კეთებას, რაც მის ფუნქციებში არ შედის. თუ ინტელიგენციამ არ იცის — რა და როგორ აკეთოს, ვითომ ხელისუფლებამ უკვე იცის? ყველამ, მათ შორის ხელისუფლებამ და ინტელიგენციამ, თავისი საქმე უნდა აკეთოს. ამას მოითხოვს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი.

ხელისუფლებამ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ინტელიგენციის საქმიანობას. თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მან შეიძლება გარკვეული შეკვეთებიც კი მისცეს მას, თუმცა არ უნდა შეზღუდოს იგი. შეიძლება თხოვოს, მაგრამ არ უნდა მოთხოვოს. ამ თხოვნას შეასრულებს თუ არა ინტელიგენცია, ეს თვითონ მან უნდა გადაწყვიტოს და არა ხელისუფლებამ. აქ დიქტატი და ბრძანება გამორიცხულია. ერთადერთი, რაც შეიძლება ხელისუფლებამ ინტელიგენციას მოთხოვოს, ეს კანონიერების დაცვაა. მაგრამ იგივე მოთხოვნა წაეყენება თვით ხელისუფლებასაც.

რა თქმა უნდა, ინტელიგენცია გვერდში უნდა ამოუდგეს და ყოველნაირად მხარი დაუჭიროს იმ ხელისუფლებას, რომელიც ეროვნულ საქმეს ემსახურება. მაგრამ იცავს კი ხელისუფლება (არა ლოზუნგებით, არამედ საქმეებით) ეროვნულ ინტერესებს? ეს თვითონ ხელისუფლებამ კი არ უნდა გადაწყვიტოს, არამედ ინტელიგენციამ. ხელისუფლების პროგრამატივაა მოქმედება, ხოლო ამ მოქმედების ღირსება-ნაკლოვანების შეფასება ინტელიგენციის ამოცანაა. ამ შემთხვევაში მსჯელი ინტელიგენციაა და არა ხელისუფლება.

ხელისუფლების ეროვნულობის პარომეტრი ინტელიგენციაა. ხელისუფლება, რომლის გვერდით ინტელიგენცია არ დგას, არ შეიძლება ეროვნულად ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია ინტელიგენციის მიერ ხელისუფლების ნებაყოფლობით და არა იძულებით მხარდაჭერაზე. ინტელიგენცია თავისი ნებით ანტიეროვნულ ხელისუფლებას მხარს არ დაუჭერს. შეიძლება შემოგვედავონ: ინტელიგენცია ერის მცირე ნაწილია. უმრავლესობას მასები შეადგენენ, ამიტომ გადამწყვეტი მათი მხარდაჭერაა. სწორედ ის ხელისუფლებაა ეროვნული, რომელსაც მხარს უჭერს უმრავლესობა, ანუ მასები. ეს არგუმენტი არასწორია. რა თქმა უნდა, უმრავლესობის აზრი გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევია, მაგრამ არ არის გადამწყვეტი. საქმე ისაა, რომ მასა უპიროვნოა, აქ არ არსებობენ ინდივიდები. ინდივიდუალობა ნიველირებულია, წაშლილია. ყველა ერთნაირად ფიქრობს და მოქმედებს. ვერც ერთს სხვებისაგან ვერ გამოარჩევ. ყველას დაახლოებით აზროვნების თანაბარი დონე და მარტივი ლოგიკა აქვს, რაც ძირითადად ემყარება პირად გამოცდილებას და ყოველდღიურობას. გრძნობები და ემოციები არსებით როლს ასრულებს მასობრივი ცნობიერების ფორმირებაში.

მასა საშუალო ადამიანია, რომელიც ერთნაირი თვითდაჯერებულობით ბჭობს ყველაფერზე — პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, ხელისუფლებაზე, ქვეყნის ბედზე და მომავალზე. მას შზა, შემუშავებული რეცეპტები აქვს, რომლებიც მისთვის აბსოლუტურად უეჭველი და უტყუარია. ამ ადამიანს არც ერთი საკითხი საგანგებოდ არ უკვლევია, სპეციალური განათლება არ მიუღია, ამიტომ მის მსჯელობას აკლია სიღრმე, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. მისი მსჯავრი ზერელე და ზედაპირულია. ცხადია, რომ საშუალო დონის ადამიანი ვერ იქნება ბარომეტრი ხელისუფლების შეფასებაშიც. მისი აზრი ანგარიშგასაწევია, მაგრამ არა იმიტომ, რომ უტყუარი და უეჭველია, არამედ იმიტომ, რომ უმრავლესობის აზრია. მასის ძალა სიმრავლეა და არა ჭეშმარიტება.

ინტელიგენცია უმცირესობაა, იგი უმრავლესობა არასოდეს არ იქნება, მაგრამ იგი ერის ინტელექტუალური ნაწილია, რომელიც საგანგებოდ იკვლევს და სწავლობს, კრიტიკულად აანალიზებს და განსჯის. მისი შეფასების კრიტერიუმი გონებაა. ამიტომ ინტელიგენციის ბჭობას ახასიათებს სიღრმე, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. მისი დასკვნები ყველაზე მეტად უახლოვდება ჭეშმარიტებას. ინტელიგენციის ძალა გონებაა და არა სიმრავლე.

ცხადია, რომ ინტელიგენციის მსჯავრი ხელისუფლების შესახებ უფრო ობიექტური და პირუთვნელია, ვიდრე მასის შეხედულება.

ხომ არ ვაზვიადებთ და ვაიდეალებთ ინტელიგენციას? განა ინტელიგენცია არ ცდება? რასაკვირველია, მაგრამ განა ხელისუფლება ან მასა არ ცდება? გერმანელი ხალხის უმრავლესობამ, ე.ი. მასამ აირჩია ჰიტლერი და ამით დაუშვა საბედისწერო შეცდომა. მეტ-ნაკლებ შეცდომებს უშვებს ყოველი ხელისუფლება. ასე რომ, არც ხელისუფლების და არც მასის გაიდეალება არ შეიძლება. განა ინტელიგენტებს შორის არ მოიძებნებიან დამნაშავეები, მექრთამეები და ქურდებიც კი? რა თქმა უნდა, განა მასა ან ხელისუფლება მათგან თავისუფალია? ი. ს გამო, რომ ზოგიერთი ინტელიგენტი დამნაშავეა, არ შეიძლება მთელი ინტელიგენცია კრიმინალურად მონათლო. მსგავსად იმისა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა სხვადასხვაგვარ დანაშაულს ჩადის, არ შეიძლება მთელი ახალგაზრდობა დამნაშავედ გამოაცხადო. იგივე ითქმის მუშათა კლასზე, გლეხობაზე და სხვა. ასე რომ, ინტელიგენცია ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს. იგი მეტ-ნაკლები ხარისხით გამოხატავს მთლიანად საზოგადოების ღირსება-ნაკლოვანებებს. მაგრამ ინტელიგენციის უპირატესობა სხვა სოციალურ ფენებთან შედარებით ისაა, რომ მისი საქმიანობის წესი ემყარება გონებას და ზნეობას. ცხადია, ინტელიგენცია იდეალური არ არის, მაგრამ ყველაზე მეტად გამოხატავს ერის ინტელექტს და ზნეობრივ რწმენას. არც თვით ერია სრულყოფილი, მასაც თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი აქვს.

ინტელიგენცია და პოლიტიკური რეჟიმი

ჩვენ აღვწერეთ ის, თუ როგორი უნდა იყოს ინტელიგენციის და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ არის კი იგი ყოველთვის ამგვარი? რა თქმა უნდა, არა. ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ რეჟიმზე: სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის დროს ინტელიგენციის ხვედრი და როლი განსხვავებულია. დავახასიათოთ ინტელიგენციის როლი და ადგილი დემოკრატიული, ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმის პირობებში.

დემოკრატიული რეჟიმის პრინციპია პიროვნების თავისუფლება და მისი უფლებების დაცვა. ამის გარანტია კანონის უზენაესობაა. ყველა ერთნაირად ემორჩილება კანონს, არავის, მათ შორის, სახელმწიფოს მეთაურს, არა აქვს მისი დარღვევის არა მარტო იურიდიული უფლება, არამედ ფაქტობრივი შესაძლებლობა. დაშვებულია სხვაგვარად აზროვნება, ამიტომ ოპოზიციის არსებობა და საქმიანობა კანონიერია. შეხედულებათა პლურალიზმი, ხელისუფლების კრიტიკა, საჯაროობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა კანონით უზრუნველყოფილია. ცხადია, ამგვარი პოლიტიკური რეჟიმი შეესაბამება ინტელიგენციის ცხოვრებისა და ცნობიერების წესს. იგი მას საშუალებას აძლევს სრულიად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. ამით აიხსნება ქართული ინტელიგენციის მიერ დემოკრატიისათვის თავდადებული ბრძოლა. დემოკრატია მისი არსებობის აუცილებელი პირობაა. იგი ვერ გაიზიარებს ვერც ერთ ლოზუნგს ან ქმედებას, თუ ისინი დემოკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან. თავისუფლება დემოკრატიის გარეშე მისთვის მიუღებელია. მას უნდა არა ყოველგვარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც დემოკრატიასთან იქნება შერწყმული. ამიტომ უარყო მან მოწოდება „ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია“. ერაყი დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ დიქტატორული. ღმერთმა გვაშოროს ამგვარი დამოუკიდებლობა!

ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმის ამოსავალი პრინციპი ერთია: ეს არის ტოტალიტარიზმი, ე.ი. ერთი პირის ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრა. მათ შორის განსხვავება რეპრესიების განხორციელების ხერხებსა და მეთოდებს ეხება. მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების საკითხში მათ პრინციპულად ერთი პოზიცია უკავიათ. ამის გამო ავტორიტარიზმსა და დიქტატურას დავახასიათებთ, როგორც პრინციპულად იგივეობრივ სისტემას. დიქტატურის პრინციპი ადექვატურად გამოთქვეს ლენინმა და ტროცკიმ. ლენინი წერდა: „დიქტატურა ნიშნავს შეუზღუდველ ძალაზე და არა კანონზე დაყრდნობილ ხელისუფლებას“; შემდეგ: „ეს არის დიქტატურა, რადგან ეს არის ხალხის ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონებით არ არის შეზღუდული“ და ბოლოს: „დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არაა ნიშნავს, თუ არა უშუალოდ ძალადობაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას, რომელიც არაფრით არ არის შეზღუდული, არავითარი კანონებით, აბსოლუტურად არავითარი წესებით არ არის შეზღუდული“. ტროცკი წერდა: „ქვეყანაში, სადაც ერთადერთი შრომის მიმცემი სახელმწიფოა, ოპოზიცია ნიშნავს ნელი შიმშილით სიკვდილს. ძველი პრინციპი — ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს — იცვლება ახლით: ვინც არ ემორჩილება, ის არ ჭამს“. მაშასადამე, კანონით შეუზღუდავი ხელისუფლება და უსიტყვო მორჩილება — აი ავტორიტარიზმის საყრდენი. ამგვარი პოლიტიკური რეჟიმის დროს განხორციელებული წესრიგი ემყარება უკანონობას და თვითნებობას ხელისუფლების მხრიდან და მონურ მორჩილებას ქვეშევრდომთა მხრიდან. ცხადია, პიროვნების თავისუფლება, სხვაგვარად აზროვნება, შეხედულებათა პლურალიზმი და სხვა გამორიცხულია. ყოველივე ეს თრგუნავს და ბოჭავს ინტელიგენციას, რადგან უპირისპირდება მისი ცხოვრებისა და ცნობიერების წესს. იგი თანდათანობით კვდება, თავის ფუნქციას კარგავს და იქცევა მასის ნაწილად, ზოგჯერ ბრბოდაც კი. ხელისუფლების კრიტიკოსის ნაცვლად იგი ხდება მისი აპოლოგეტი. მაგრამ ინტელიგენციის ასეთი მეტამორფოზა მიმდინარეობს არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით — აშკარა ან ფარული დევნით; შიში და მხოლოდ შიში აიძულებს მას უარი თქვას თავის მოვალეობაზე. რასაკვირველია, ყოველთვის გამოჩნდებიან ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები, რომლებიც ნებაყოფლობით და სიამოვნებით კისრულობენ მსახურის როლს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ასე იქცევა. პირიქით, არიან ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები, რომლებიც აშკარად ან ფარულად გამოთქვამენ პროტესტს. რაგინდ მორჩილად არ უნდა გამოიყურებოდეს ინტელიგენცია, იგი რჩება ავტორიტარიზმის მთავარ მტრად. ამის გამოა, რომ ავტორიტარული პირველი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სიძულვილი ინტელიგენციის მიმართ. ამ მხრივ საინტერესოა ლენინის შეხედულება ინტელიგენციაზე. 1908 წ. იგი გორკის წერდა: „ინტელიგენტების მნიშვნელობა ჩვენს პარტიაში ეცემა: ყოველი მხრიდან მოდის ცნობები, რომ ინტელიგენცია პარტიიდან გარბის. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ ამ ვიგინდარებს. პარტია იწმინდება ამ მეშჩანური ნაგვისაგან“. გორკისადმი მიწერილ სხვა წერილში ლენინი ინტელიგენციას უცენზურო სიტყვითაც კი ამკობს.

ნიშანდობლივია ნაპოლეონის დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი. 1812 წ. დეკემბერში სახელმწიფო საბჭოზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ინტელიგენცია დაადანაშაულა ყველა შეცდომისა და უბედურებისათვის, მათ შორის, რუსეთის კამპანიის წარუმატებლობისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია ის დევნა და რეპრესიები, რასაც ინტელიგენცია განიცდიდა ფაშისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ რუსეთში.

ხელისუფლების ბრძოლა ინტელიგენციის წინააღმდეგ გაგებას და მხარდაჭერას პოულობს ფართო მასებში. მასას უჩნდება სიძულვილი ინტელიგენციის მიმართ, მიიჩნევს ყველა უბედურების მთავარ მიზეზად და განადგურებით ემუქრება მას. ჩნდება მასობრივი ფსიქოზი. ხშირად გაიგონებთ: „დიდი ამბავი რაღაც ორიოდე წიგნი დაუჯღაბნია“, „დიდი ამბავი რაღაც ორიოდე ფილმი გადაუღია“ და სხვა. „სულ არ წავიკითხავთ მაგათ წიგნებს“ ან „სულ არ ვნახავთ მაგათ ფილმებს“ და ა.შ. მასობრივი ფსიქოზის შედეგი იყო ის ამაზრზენი ფაქტი, როდესაც მოქალაქეთა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად საჯაროდ დახია მწერალთა წიგნები.

მასების ამგვარი ზიზღი ინტელიგენციისადმი იოლი ასახსნელია. მასობრივი ცნობიერება თავისი არსით ავტორიტარულია, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი დიდი ენთუზიაზმით ხვდება ხელისუფლების ბრძოლას ინტელიგენციის წინააღმდეგ.

ახლა შეგვიძლია ცალსახა პასუხი გავცეთ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვას: კონფლიქტი ეროვნულ ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის აბსოლუტურად კანონზომიერი და ობიექტურად გარდაუვალი იყო. ავტორიტარიზმი აუცილებლობით მოითხოვს ინტელიგენციასთან დაპირისპირებას. ის კოშმარი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, ავტორიტარული რეჟიმის ბუნებრივი შედეგია. ქართული ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირნათლად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. მან დაამტკიცა, რომ სამოცდაათწლიანმა ბოლშევიკურმა დიქტატურამ მას ვერ დაუკარგა თავისი ჭეშმარიტი სახე და ვერ აქცია მასად ანბრბოდ.

განკურნების პროცესი დაიწყო...

(დასაწყისი მე-4 გვ.)

შეცდომაზე, მაგრამ ქალთა ეგზალტირებული ბრბოს მიერ წიგნების დაწვის გამო ნერვიული ატმოსფერო სუფევდა და ჩემი რჩევა ყურად არ იღეს. თქვენ მეკითხებით ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე. ჩვენ ჩვენი პრობლემები გავაცანით სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს და უპირველესად ქვეყნის შველის გზებზე ვესაუბრეთ. „სადაა ქართული მწერლობა?!“ იგი ქართველი ხალხის მხარესაა.

— რამდენად დაგაკმაყოფილათ ბატონ ედუარდ შევარდნაძის პასუხებმა თქვენს მიერ დასმულ საკითხებზე?

— თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ ჩემს შეკითხვებში ჩემი პოზიციაც ჩანდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მინიშნებაც ზოგი რთული საკითხის გადაწყვეტისა. ბატონი ედუარდის პასუხებმა სავსებით დამაკმაყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შეკითხვას არაპირდაპირ, ალეგორიებით, ქვეტექსტებითაც კი უპასუხა. აბა, თქვენ როგორ გინდოდათ, დაედო გულზე ხელი და გადაჭრით ეთქვა: ხვალვე დავსვამ საკითხს რუსის ჯარის გაყვანაზე, ღღესვე გავცემ განკარგულებას, რომ გვარდია აფხაზეთში შევიდესო?! მაშინ ხომ ედუარდ შევარდნაძე ედუარდ შევარდნაძე არ იქნებოდა — მსოფლიოში ცნობილი, ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკოსი. ჩემს შეკითხვებს ქართული ორღობის გადაღმა ვერავინ გაიგებს, მისი პასუხი კი, თუნდაც ერთი მისხალი რომ ნაჩქარევი ყოფილიყო, მთელ მსოფლიოში გახმაურდებოდა. გასროლილ სიტყვას კი, მოგეხსენებათ, ქამანდით ვეღარ დაიჭერ. მშვიდად, წყნარად, ემოციების გარეშე მიპასუხა: მოლაპარაკება, მოთათბირება, მშვიდობიანი გზების გამონახვაა საჭიროო, საერთოდ, იმპერია რაკი დაიშალა, ყველას თავისი შეიარაღებული ფორმირებანი თავის ტერიტორიაზე უნდა ჰყავდეს, ხოლო საქართველოს ისტორიული ნაწილის — აფხაზეთის პრობლემა თბილისში გადაწყდება და არა მოსკოვშო. მის მდგომარეობაში მყოფი კაცისაგან სიმართლის ასე ხმამაღლა თქმაც დიდი გამბედაობა იყო.

— ახლა იქნებ თქვენს უშუალო საქმიანობაზე, შემოქმედებით გეგმებზე. პირად განწყობილებაზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა. თქვენ დაარსეთ ჟურნალი „ლიმილი“. ამ უქალაღლდობის ჟამს ხომ არ გიჭირთ? უწერია თუ არა სიცოცხლე „ლიმილს“?

— მადლობას მოგახსენებთ „ლიმილის“ გახსნებისათვის. მე მგონი, არ გამოვიდა ურიგო ჟურნალი და მომიტევეთ, თუ იგი განსაკუთრებით მიყვარს, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ერთ სამწერლო ტრიბუნად შევმატე. დაწყება ხომ ძნელი და ძნელი იყო, ჟურნალის არსებობის გაგრძელება არანაკლებ ძნელია ახლა. ყოველ ღონეს ვხმარობ, რათა „ლიმილი“ არ ჩაქრეს ქართული ლიტერატურის კაბადონზე, ამ დღეებში გულისამაჩუყებელი არზით მივადგები მთავრობას, რათა ცოტა ქაღალდი „ლიმილსაც“ უწილადოს. ვნახოთ, როგორ გაუწვდიან ხელს ჩვენ ჟურნალს. მკითხველნი კი ყურადღებას არ გვაკლებენ, ჟურნალს ხელისმომწერებიც ჰყავს და პირად წერილებშიც ხშირად გვამხნევებენ.

რაც შეეხება ჩემს მდგომარეობას, უქაღალდობა სულს მიხუთავს. მეორე წელია „მერანი“ ვერ ბეჭდავს ჩემი სამტომეულის პირველ ტომს. წერით კი ვწერ, რაც მეწერება. ჩემი სამწერლო სტილი უპირველესად ყოველდღიურობის პრობლემებს გულისხმობს. ვცდილობ მოვლენებს არ ჩამოვრჩე.

რაც შეეხება განწყობილებას. როგორი იქნება განწყობილება სახლდამწვარი კაცისა, რომელსაც ესეც არ აკმარეს და მწერალთა ყრილობის წინ „ზვიადიზმით“ დაადადებულმა, დაქირავებულმა ქალბატონებმა წიგნებიც დაუწვეს. თუმცა თურმე ჩემი მდგომარეობაც კი შეხარბებია ზოგიერთს.

მართლა სახლი დაგიწვესო? ერთმა მწერალმა მკითხა.

ნამდვილად მეთქი.

სულ მთლიანად დაიწვაო?

მთლიანად, თითისდადება ქაღალდიც ვერ გადავარჩინეთ მეთქი.

ვატყობ, დიდად არა სწყინს. სწყინს კი არა, ცოტა არ იყოს, აღტაცებითაც შემომცქერის.

ზარალი დიდი იქნება, რასაკვირველია, ცოტა ხარჯი როდი დასჭირდება სახლის აღდგენასო. მაგრამ გული არ გაიტეხო და, ჩვენს შორის რომ დარჩეს, მაგ ამბავს კარგი მხარეც აქვსო. ვერ წარმოიდგენ, როგორ შეუყვარდი ხალხს ამ ბოლო დროსო. სადაც კი მოვკარი ყური, ყველგან მიშველაძის ხსენება ისმისო. მე-ვიკითხო, არაფერში რომ არ მიმართლებსო. სხვისი ბამბაც ჩხრიალებს და ჩემსას ვერაფერს ხედავენო. ჯერ იყო და, გული იმაზე ჩამწყდა, ზვიადის დასახვრეტთა სიაში რომ ვერ მოვხვდიო. ცხრა ადგილას შევამოწმე, მაგრამ დამატებით სიაშიც არ აღმოვჩნდიო. ბოლო იმედი წიგნების დაწვა იყო და იქაც გამომტოვესო. ოცი წიგნის ავტორი ვარ, რა იქნებოდა, იმ ოციდან ერთი მაინც ეცნოთ დაწვის ღირსად, ცოტას მაინც გავხმაურდებოდიო.

რას გაუგებ კაცს...

ესაუბრა

ფელიქს კოტიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მთავარ პოლიტმპარჩიელს

რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ბატონ რუსლან მიქაბერიძის პაროდიების პასუხად დაისტამბა ბატონ გაიოზ ერაძის სატირული ლექსი „მწყრები ხეზე“, რომელსაც ახლდა მისივე მინაწერი. იგი ადგილის სიმცირის გამო ვერ გამოვაქვეყნეთ.

დღეს შეუცვლელად ვგეგზავთ გაიოზ ერაძის აღნიშნულ მინაწერს და მასთან რუსლან მიქაბერიძის საპასუხო პაროდიას.

P.S. ახლა, კიდევ რომ არა სთქვათ, ადრე სად იყავითო, ჩვენთან რატომ არ იდექითო, ბუჩქებში იყავითო, რაღაც გიკანკალებდათო და სხვა (თქვენგან ყოველი უკადრებელი მოსალოდნელია ჩემთვის), ამასთან ისიც გაგახსენოთ როგორ გიყურებდით, რას მოველოდი თქვენგან, ან თუ როგორ „მეშინოდა“ მაშინ, როდესაც „ყველანი ერთად იდექით მამულის სადარაჯოზე“, გთავაზობთ ნაწყვეტებს ჩემი **1990 წლის 13 იანვრის** სტატიიდან „ტიტების ნაცვლად... ქიშტები?“ დასტამბულს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ბატონ თემურ ფიფიას ერთი პუბლიკაციის საწინააღმდეგოდ.

„მინდა ვცადო მოვლენების მოზღვავებაში ჩვენი სოციალური მდგომარეობა და **ახლო მოსალოდნელი შედეგები დავინახო**“.

„რა ხდება, ეროვნული სიფხიზლის გამოვლინებაა ეს თუ განუკითხაობის გამოღვიძება?

ფანტაზიიდან — ეჭვი, ეჭვიდან — ბრალდება, ბრალდებიდან — განაჩენი, განაჩენიდან — აღსრულება — საჯარო მხილება ერის ღალატში. ეს არის ჩვენთან ამუშავებული ეროვნული ობსტრუქციული გილიოტინის ტექნოლოგიური ციკლი!

იცით, როგორია ყველაფერ ამაზე საზოგადოებრივი აზრი, ის აზრი, რომელიც არავის არ აინტერესებს?: **„რა გვეშველება დამოუკიდებლობას რომ მივაღწიოთ, ტიტებიდან ქიშტებამდე ხომ მანძილი მეტია, ვიდრე ქიშტებიდან — ხიშტებამდე?!“**

ეს არის „რევოლუციური სიფხიზლე“ გადასული **დემაგოგიურ სიბრიყვეში**. დგას სოციალურ-ეროვნულ-რელიგიური ისტერიის ცნობილი მოდელი.

მაქსიმალურად შევიკავოთ თავი. ცხენმა პატრონს წინ არ უნდა გაასწროს, ალესილი დანა **ციკლოპის კუდზე გადასატეხად** არ უნდა გავიმეტოთ, მითუმეტეს რომ ციკლოპს ჯერ აგონია არ დასწყებია და **არც ჩვენი წამოქცეულია სასიკვდილოდ**“.

ვფიქრობ, კომენტარები ზედმეტია!

აწი, თქვენს მტერს აუხდა კიდევ ასეთი სიზუსტით ყველაფერი, ბატონო ჩემო!

პასუხს შენც გწერ და იმათაც,
ჩვენი თათხვით რომ ხარობენ
და 9 აპრილის სალანძღად
შენ რომ რუპორად გხმარობენ.
„რადიკალების“ მოძულევ,
პარტიებ-კონგრესიანად,
თავის ნათელი დღეებით
და ოღრო-ჩოღრო გზიანად,
იმათ რას ერჩი, ვინც ეს გზა
იარა ნამუსიანად?
პირველად ხმა რომ გაგეცი,
ღმერთმა დასწყევლოს იგი დღე,
ამ ერთსაც დაგკრავ, შენ მერე
მიდი, წერე და იკითხე.
ჩვენო მოსისხლე მეპროზევ,
ახლა ლექსადაც დაშვერი
და დგახარ „პოლიტ-პოეტის“
პოზაში გამონაშვერი.
სიბრაზე გიშლის, ეტყობა,
ძალთა რეალურ დანახვას,
„სიგრძეს სიგანედ გიქცევთო“
რომ გვემუქრები გალახვას.
ეგ საქმე მორევაზეა
და ისე ნუ გაშტერდები,
რომ მერე გვიან აგიდგეს
„ლიბერალური“ გვერდები.
ჩვენც რომ მის ლაქიებში გვრევ,
არ უნდა დიდი შეწვდომა —
საიდან მომდინარეობს
ეგ „უნებლიე შეცდომა“.
ვინც „მის თავლაში გასუქდა“
დღესაც თან ახლავს ჩეჩნებში,
ზოგს აპატიეს და ზოგიც
დამალულია ჩეჩმებში.
ზოგიც ნადირად ქცეული
ურბენს შავი ზღვის ნაპირებს
და ზოგიც ისევ უტიფრად
დეპუტატობას აპირებს.
მაშ ვის სჯირდება ამბები
„ერაძის სარკით“ ნანახი?
„წითლებს“ და „დედლებს“, რომ
ბრძოლას
ერთად შეასხან ტალახი.
ძულს მოძრაობა ერაძეს,
„უტორტისნაჭროდ“
დარჩენილს,
ძულს „მამაცობა უგნურთა“
ყველა მხობავად გაჩენილს.
„მხსნელს“ გულზე ჯვარს
დაკიდებო,
ენა რომ ძირს დაგიგია,
დაგასწრეს მარტივ ლაქუცას
გვიანი თადარიგია —
მის მკერდთან არ მიგიშვებენ
ძალიან დიდი რიგია.
მთავარ მოტირალ-მოზარედ
მოვლინებიხარ ნაციას
და შაოსანი დედებით
ეწევი სპეკულაციას.
ორი წლის უკან სად იყავ,
ჩვენ რო ვთქვით ჩვენი სათქმელი,
რომ ბრძეს სატანას ფეხებთან
აღარ დაენთოთ სანთელი.
შეძვერით „გაიოზები“
ვირთაგვებივით ხვრელებში,
დღეს მოწრიპნე კალმები
გიკანკალებდათ ხელებში.
სად იყავ, ქუჩის „გავროშებს“
როცა „გვშიოდა“, გვკიოდა,
როცა ქვას და კეტს
გვირტყამდნენ,
როცა ტყვიები წიოდა,
ტირანს რატომ ვერ შებედე,
აშარ ქალს არ წვდი ნაწნავში?
მაგრამ შენ მაშინ ეგ ენა
გადაგივარდა ნაწლავში.
და იმათ გარდა, ვინც ბელადს
ტაში უკრა და დაირი
დუმილით ეხმარებოდა
ხალხი „ერაძისნაირი“.
ახლა ლაშაქაფებული
რომ ყვირი, მე ვარ რაც ვარო
და გინდა კაი კაცები
ნაძირალებთან გასვარო,
სატირა-პოლიტიკაში
ახლახან შემონაჩარი,
აპრილ-ნოემბრის მსაჯულად
არ გამოდგება ლაჩარი.
„ძველებს“ არაფრად მიაჩნდი,
ველარც „ახლებთან“ მიდიხარ
და პოლიტიკურ ფეხებში
მთლად უფუნქციოდ კიდიხარ.

რუსლან მიქაბერიძე

21/IV/92 წ.

ხმა მესამე ნაპირიდან

დედათა ბუნებაი იწრო არს

ქნებ წინდაწინ არ მოგეწონათ წერილის სათაური და უკვე გახმიკითხეთ. ჩემი შეხედულებით, ამ საკმაოდ ცნობილ ციტატაში გადმოცემული აზრი სრულიადაც არ არის ქალის შეურაცხმყოფელი. „ფიცხელი სიტყვა“ კი, ვისი ნათქვამიც არ უნდა იყოს, გვამწუხრებს, ისედაც „მძიმე“ ხასიათს უფრო გვიმძიმებს.

ძველი ქართული ენის ლექსიკონში „იწრო“ განმარტებულია, როგორც „ვიწრო“, „მძიმე“, „საჭირველი“, „შეჭირვებული“; შესაჭირვები კი, ალბათ დამეთანხმებით, დღეს ქართველებს ძალიან გვავრი გვაქვს.

უპირველესი საწუხარი კი ის არის, რომ სიძულვილით ნასაზრდოები ძალადობა მძვინვარებს საქართველოში. იმატა ამ ძალადობით გაბეზრებულ ქართველ დედათა აუგად ხსენებამაც. იმატა კი არა, ყოველგვარ საზღვარს გასცილდა.

სიძულვილი სიძულვილს წარმოშობს. მძულვარება ბოროტებაა, რომელსაც კაცის კვლა მოსდევს - ადამის ტომის მიერ ჩადენილი ეს მიუტევებელი ცოდვა!

მე მებრალებიან ის ქალები, რომლებიც გამწარებულნი, წიგნებსღა წვავენ. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ვინმეს ზემოდან დავყურებდე, ან მათ ამ ქცევას ვამართლებდე. ისინი იმიტომ მეცოდებიან, რომ მათ სულსა და გულში სიძულვილი და სიყვარული თანაარსებობენ. უფრო მეტიც: სიძულვილი უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული. საერთოდ ეს გრძნობები ურთიერთგამომრიცხავია. შეუძლებელია ღვთისნიერმა ადამიანმა სიძულვილი გაითავისოს, გულს გაიკაროს. იქ მხოლოდ სიყვარულისთვის არის ადგილი. ამ ადამიანებს კი პრეზიდენტის სიყვარული და მისივე მოძულეთა სიძულვილი ერთდროულად სტანჯავს და აწვალებს.

სიძულვილი ქართველ ქალს არ ეკადრება, მითუმეტეს-ფანატიკური. უსამანო არც სიყვარული ვარგა, რადგან იგი უკიდურესი, უჩინო და ბრმაა.

ბრმა სიყვარული უკეთურობაა და ფანატიკური სიძულვილი რაღა იქნება! ამიტომ ქალებს არც ერთი შეჰფერით და არც მეორე. მაშ როგორ მოვიქცეთ?

მოდით შეძულების ნაცვლად შევიბრალოთ, შევიცოდოთ ისინი, ვინც აქამდე გვძულდა. იქნებ თავად მოეგონ გონს და მიატოვონ სირეგვენისა და უგუნურების გზა; იქნებ დაფიქრდნენ და უბედურება ააცილონ სამშობლოს: სიბრალულიდან სიყვარულამდე კი ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი.

საქართველოს ჭეშმარიტი სიყვარული გადაარჩენს, ხოლო ფანატიკური, სიძულვილზე რომ აღარაფერი ვთქვათ, - დაღუპავს. ასევე დასაღუპავად განწირულია მოძულე ადამიანიც.

დიდი ილია გვასწავლის:

„გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..

კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.“

სიკვდილი ხშირად სიცოცხლის გაგრძელებაა, რადგან თავის განწირვა იმისთვის, ვინც ან რაც ადამიანს უყვარს, იგივე სიცოცხლეა. ამიტომ არ არის სასურველი პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ქართველ ხალხს წარა-მარა ვულანძღოთ ყოფილი პრეზიდენტი. ცინიზმითა და ლანძღვა-გინებით კვლავ წყველა-კრულვას მივიმკით, ვერც ჩვენ „დავსულფონდებით“ და ვერც შეურაცხყოფილ ერს დავამშვიდებთ.

ქალები რომ აქტიურობენ ყველაფერში, ესეც ბუნებრივია და ნურავის გაუკვირდება. ისინი ბევრნი არიან ყველგან და ძალიან აგრესიულადაც იქცევიან; თავდავიწყებით გაჰყვირიან პრეზიდენტის სახელს, მღერიან („ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენს ვართ ყველაო...“) და მზად არიან სხვა აზრის მქონე კაცის ჩასაქოლად, თუნდაც იგი აკაკი ბაქრაძე იყოს.

მე მეცოდებიან ეს ქალები.

მაგრამ მე უფრო მეცოდებიან ის დედები, რომლებიც გულგრილად, ერთგვარი სიამოვნებითაც კი შეჰყურებენ ყოველ დილას ჯერ კიდევ უწვერული, იარაღასხმული, გვარდიელი თუ „მხედრიონელი“ შვილების სარეკესთან კოპწიაობას, ვითომაც თვისტომთა სისხლის დასაქცევად არ ისტუმრებდნენ მათ. „ლამაზად შვილის გამზრდელი“ ასეთი დედა ვერ იქნება.

ქალებო!

დაუჯერეთ მამებს, ძმებს, ქმრებსა და ვაჟიშვილებსაც კი.

მომიტევოს სულმნათმა სულხან-საბა ორბელიანმა, საქართველოზე მარადჟამს მონაღვლე მისი სული რომ შევაწუხე. იგი გვასწავლის, რომ „ურჩი ცოლის უფალი“ თავისი სამკვიდროდან ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა გადაიხვეწოსო.

თქვენი ურჩობა და მძლავრობა თქვენივე სირცხილია, თქვენი სირცხვილი კი საქართველოს სირცხვილიცაა.

მე ის შვილმკვდარი დედა მიმაჩნია მისაბაძად, ვინც სიყვარულით შეძლო სიძულვილზე ამაღლება, თორემ მგლოვიარე დედის გულში ვინ ჩაიხედავს!

კაცებო!

ძალიან ნუ, „გაათავწვერებთ“ მანდილოსნებს, მხარში ამოუდექით, მოეფერეთ, დაუყვავეთ, მაგრამ თავისი საქმე აკეთებინეთ. ისიც გახსოვდეთ, რომ ბავშვისა და დედაკაცის სისხლი არასოდეს იკარგება.

დავუჯეროთ ბრძენ-წინაპრებს. ნუ გავთითოკაცდებით, ნუ გავმედიდურდებით, დავიოკოთ ჩვენი ამპარტავნობა, დავიმდაბლოთ თავი, დავმშვიდდეთ და ვიყოთ ღვთისნაირები.

თუ ჩემს ნაწერში მკითხველმა სიძულვილი დაინახა, ნუ დამძრახავს და ისევ ილიას ნათქვამი გაიხსენოს („ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“). მე მაინც მწამს, რომ ჩვენი სულების „ხსნის გზა“ სიძულვილიდან სიბრალულზე გაივლის, სიბრალულიდან კი სიყვარულად გადაიქცევა.

თამარ არაბული
XI კლასის მოსწავლე



*

წიგნში წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის გულქან რაზიკაშვილის მოგონებები, რომლებშიაც მკითხველი დღემდე უცნობ არაერთ საინტერესო დეტალსა თუ ეპიზოდს გაეცნობა დიდი ქართველი მწერლის პირადი ცხოვრებიდან და ფშაველთა საოჯახო ეთნოგრაფიული ყოფიდან. წიგნი იყიდება უნივერსიტეტის I კორპუსში და გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზიაში.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი გთავაზობთ მოგზაურობას შეღავათიან ფასებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში:

საფრანგეთი, პარიზი, იტალია, ისრაელი, ჩეხოსლოვაკია-ავსტრია.

ფინეთი, ინდოეთი, ირანი, ბულგარეთი-თურქეთი. თურქეთი-სირია. პოლონეთი, ჩინეთი.

მოგზაურობის დროს თქვენ მოგემსახურებათ საუკეთესო სასტუმრო.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 99-99-78, 93-67-50.

ჩვენი მისამართია: საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

ლეონიძის ქ. №11-ა
(ყოფილი კროვის ქუჩა).

ინდექსი 66447

ფასი 2 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯავჯავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი